მუნიციპალიტეტის მაცნე

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №6(68) 2014 წ. 16-31 მარტი ფასი 50 თეთრი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

18 მარტი, 2014 წელი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომას ***მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ილია ჯიაურელი*** უძღვებოდა.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე ***„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2014 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით დაფინანსებული სახელმწიფო შესყიდვების კორექტირებული წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ 2014 წლის 28 თებერვლის №4 დადგენილების შესაბამისად“*** მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ბიუჯეტის დაგეგმვისა და ადგილობრივი ფინანსების მართვის სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსმა თინათინ ძაბილაშვილმა.***

„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 თებერვლის №4 დადგენილებაში „საგარეჯოს მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ზონირების ნორმატიული ფასის და წლიური საჯარიმო ქირის დაგეგმვის შესახებ“ ცვლილებების შეტანის შესახებ“ მოხსენება გააკეთა ***საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ვაშა ბაზერაშვილმა.***

საკითხის „ქ. საგარეჯოში, თბილისი ქ. №74-ში მცხოვრები ოთარ ქურთიშვილისთვის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების შესახებ“ მოხსენება გააკეთა ***საკრებულოს თავმჯდომარემ ილია ჯიაურელმა.***

28 მარტი, 2014 წელი

სხდომას უძღვებოდა ***მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ილია ჯიაურელი.*** სხდომას მონაწილეებმა მოისმინეს დღის წესრიგის შემდეგი საკითხები: 1. „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2014 წლის პროგრამისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 31 იანვრის №3 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

2. „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის თვითმართველი ერთეულის ქონების საპრივატიზებო ობიექტის ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 31 იანვრის №9 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

სხდომის მონაწილეებმა განხილულ საკითხებზე მიიღეს შესაბამისი დადგენილებები.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობა თათბირი

25 მარტს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თათბირს ესწრებოდნენ ***მუნიციპალიტეტის გამგებელი*** **გიორგი ლოლაძე,** ***გამგებლის მოადგილე*** **ბესიკ მარტიაშვილი,** გამგეობის სამსახურების უფროსები, მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების რწმუნებულები.

თათბირზე საუბარი შეეხო 21 მარტს გრიგალით ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის მიყენებულ ზარალს. ასევე, საუბარი შეეხო ცალკეული სოფლების მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების, საგაზაფხულო ხვნა-თესვის, ინფრასტრუქტურის საკითხებს.

უდაბნოს სამედიცინო ამბულატორიის მონტაჟი

უდაბნოს რწმუნებულის **მამია ჩართოლანის** ინფორმაციით 25 მარტისათვის უკვე დამთავრდა სოფელ უდაბნოს სამოთახიანი სამედიცინო ამბულატორიის კონსტრუქციებით აგება, რომელიც სამიოდე დღის წინ საქართველოს შრომის, სოციალური და ჯანდაცვის სამინისტრომ აქაურ მოსახლეობას ნორმალური სამედიცინო მომსახურებისათვის გამოუგზავნა.

გაზაფხული ძალაში შედის
კოოპერატივი და მისი რეგისტრაცია

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების რეგისტრაცია დაიწყო, გაუბედავად. ჯერ-ჯერობით „შორიდან ყურების“ პოზიცია აქვთ არჩეული ჩვენი მუნიციპალიტეტის ფერმერებს, ცალკეულ მეურნეებს. ძნელია სიახლესთან შეგუება, მით უმეტეს კახეთში. ერთი „ნავსის გატეხვაა“ საჭირო, პირველი ნაბიჯების გადადგმა, თორემ შემდეგ გაკვალულზე ადვილია გავლა. დრო არ ითმენს, გაზაფხული ძალაში შევიდა, მალე ისე მოძალდება სამუშაოები, გლეხი თავის მაღლა აწევასაც ვეღარ შეძლებს. კოოპერატივი კი საქმესაც ამსუბუქებს და დროსაც ზოგავს. რეგისტრაცია დაიწყოო, ვთქვით, თუ რა არის საჭირო ამისათვის, გვესაუბრება ***საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს საკონსულტაციო-საინფორმაციო სამსახურის უფროსი*** **ნიკო ჯავახიშვილი.**

– აქედანვე მინდა მოგცეთ რჩევა, რომ არ მოხდეს კოოპერატივის წესდების დამუშავებაში შეცდომები, ჩვენი სამსახურის თანამშრომლები კოოპერატივის ჩამოყალიბების მსურველს ყველანაირ დახმარებას სთავაზობენ წესდების დამუშავებისათვის.

კოოპერატივების დარეგისტრირება ხდება მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში, ანუ საჯარო რეესტრში, სადაც უნდა წარადგინოს განცხადება, კოოპერატივის დამფუძნებელთა შეთანხმება. მას ზედ უნდა ჰქონდეს დართული მომსახურების საფასურის (50 ლარი) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (ქვითარი, რომლის აღებაც თავად საჯარო რეესტრის შენობაშიცაა შესაძლებელი).

შემდეგ ხდება კოოპერატივის სტატუსის მიღება. სტატუსს კი იძლევა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო. აქ უნდა წარდგენა საჯარო რეესტრიდან ამონაწერის, განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის. იმ შემთხვევაში, თუ კოოპერატივის მფლობელობაშია ან სარგებლობაშია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ან სხვა ქონება, საჭიროა დოკუმენტები, რომლითაც დადასტურდება საკუთრება ან უფლებები, გეტყვით, რომ კოოპერატივის წესდების ტიპური ფორმა ატვირთულია საჯარო რეესტრის საიტზე.

შეგახსენებთ, რომ მაღალმთიან სოფლებში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი რომ დარეგისტრირდეს, მის შემადგენლობაში სულ მცირე 3 წევრი მაინც უნდა იყოს, ბარის სოფლებში კი ეს რიცხვი, სულ ცოტა – 5. კოოპერატივში გაერთიანება შეუძლია მოქალაქეს, რომელსაც შეუსრულდა 18 წელი, რომელიც კოოპერატივის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში მონაწილეობს უშუალოდ და ფლობს პაის.

ჩვენს მუნიციპალიტეტში უკვე ჩამოყალიბების პროცესშია 2-3 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი. ერთ-ერთი მათგანი მეფუტკრეობის პროფილისაა, მეორე – საოჯახო. შეგახსენებთ, რომ მათ სახელმწიფო დახმარება მხოლოდ მიზნობრივი პროგრამით გაეწევათ.

მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროგრამით
მოიხნა გარკვეული მიწის ფართობი

2014 წელს მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში საგარეჯოს მუნიციპალიტეტში სულ მთლიანობაში 8081 ბენეფიციარმა მიიღო მიწის მოხვნის სასოფლო-სამეურნეო ბარათი, რომელთა გამოყენებით შესაძლებელია მოიხნას 2665 ჰექტარი ფართობი. სულ მთლიანობაში კი, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს საკონსულტაციო-საინფორმაციო სამსახურის მონაცემებით მუნიციპალიტეტში ირიცხება 31063 ჰექტარი სახნავი ფართობი. ამავე სამსახურის ინფორმაციით 25 მარტის მდგომარეობით სულ მუნიციპალიტეტში მოხნული იყო 1561 ჰა მიწა. აქედან მიწის ყველაზე მეტი ფართობი დამუშავებული და მოხნული ჰქონდა შპს „მექანიზატორის“ საგარეჯოს ბრიგადას (მენეჯერი გ. მარხვაშვილი). ამ ბრიგადის მექანიზატორებს ამ დღისათვის გომბორის, უჯარმის, კოჭბანის, გიორგიწმინდის, მანავის თემებში და სოფლებში: ხაშმში, სათაფლეში, პატარძეულში, ნინოწმინდაში, წყაროსთავში, საგარეჯოში, თოხლიაურში სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში მოხნული ჰქონდა 1007 ჰა მიწა. დანარჩენი 554 ჰექტარი კი კაკაბეთის, ბადიაურისა და ი.მ. „მიხეილ ჭიკაძის“ ბრიგადების მექანიზატორებს.

რაც შეეხება მიწის ცალკეული სოფლების მიხედვით დამუშავების საქმეს, აქ ასეთი მდგომარეობაა: გომბორში 25 მარტისათვის მოხნულია – 22, უჯარმაში – 33, პალდოში – 4, კოჭბაანში – 57, იკვლივ გორანაში – 10, სასადილოში – 6, ხაშმში – 46, სათაფლეში – 6, პატარძეულში – 173, ნინოწმინდაში – 101, წყაროსთავში – 81, საგარეჯოში – 209, გიორგიწმინდაში – 89, ანთოკ-მარიამჯვარში – 5, თოხლიაურში – 67, მანავში – 98, დიდ ჩაილურში – 7, პატარა ჩაილურში – 36, ვერხვიანში – 18, კაკაბეთში – 79, მზისგულში – 51, შიბლიანში – 26, ბადიაურში – 59, ყანდაურაში – 29, ზემო ყანდაურაში – 6, თულარში – 85, კაზლარში – 40, მუღანლოში – 50, ქეშალოში – 25, დუზაგრამაში – 11, წიწმატიანში – 5, პალდოში – 6, ლამბალოში – 1, ზემო ლამბალოში – 7, ქვემო ლამბალოში – 13 ჰექტარი მიწა. ამავე პერიოდისათვის, პროგრამის გარეშე მუნიციპალიტეტში საგაზაფხულოდ მოხნულია 4744 ჰექტარი მიწა, რაც სასოფლო-სამეურნეო ბარათებით მოხნული მიწების ჩათვლით 6305 ჰექტარს შეადგენს.

გ. დაბახიშვილი

საქართველოს ტკივილი – ლტოლვილები

დევნილთა შემწეობა გაიზარდა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური სამსახურის მთავარი სპეციალისტისთვის შრომის, სოციალური, დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა მომსახურების საკითხებში რუსუდან ხარძიანისათვის ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახლებული ეკომიგრანტები და ლტოლვილები საკუთარი ოჯახის წევრებად 1996 წლიდან გახდნენ, როდესაც ქნი რუსუდანი უშუალოდ ამ სამსახურში გადაიყვანეს. მას შემდეგ წლები გავიდა. რუსუდანისთვის თითოეული ოჯახის, თითოეული ლტოლვილის მდგომარეობა ყოველდღიურ საფიქრალსაზრუნავად იქცა. ამ დღეებში შევხვდით ქნ რუსუდანს და დევნილთა საკითხებზე ვესაუბრეთ. აი, რა გვითხრა მან:

– დღეის მონაცემებით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 1993 წლიდან განთავსებულია აფხაზეთის რეგიონიდან დევნილი მოსახლეობა, ასევე 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად სამაჩაბლოდან დევნილი მოსახლეობა. დევნილთა მთლიანი რაოდენობა 70 ოჯახია, 219 სული. მათ შორის კომპაქტურად განთავსებულია 48 ოჯახი – 142 სული. ასევე, გვყავს კერძო სექტორში მცხოვრები 21 ოჯახი, 72 სული. ისინი განთავსებული არიან: ქ. საგარეჯოში 25 ოჯახი – 78 სული ცხინვალის რეგიონიდან, 23 ოჯახი – 64 სული – აფხაზეთის რეგიონიდან, 5 ოჯახი – 19 სული სოფელ გომბორში, 2 ოჯახი – 5 სული – აფხაზეთიდან ლტოლვილია კერძო სექტორში, ხაშმში 1 ოჯახი – 3 სული, პატარძეულში – 2 ოჯახი – 3 სული აფხაზეთიდან, წყაროსთავში – 1 ოჯახი, 4 სული, ნინოწმინდაში 2 ოჯახი – 4 სული – ახალგორიდან და აფხაზეთიდან, მანავში – 1 ოჯახი, 8 სული აფხაზეთიდან, შიბლიანში – 1 ოჯახი, 3 სული კოდორის ხეობიდან, გიორგიწმინდაში – 1 ოჯახი, 3 სული – აფხაზეთიდან, უდაბნოში – 6 ოჯახი 25 სული აფხაზეთიდან დევნილები. აგვისტოს ომის შედეგად დაზარალებულმა 6-მა ოჯახმა სახელმწიფოსგან მიღებული კომპენსაციით შეიძინა კერძო სახლები შიბლიანში – გირგვლიანებმა, პატარძეულში – გვიდანებმა და უდაბნოში – ქალდანებმა, საგარეჯოში – მინდიაშვილებმა. დევნილთაგან 0-დან 4 წლამდე ასაკის 11 ბავშვი გვყავს, 5-დან 9 წლამდე – 6, 10-დან 15 წლამდე 22 ბავშვი. არის ოჯახები, რომლებიც უშუალოდ დევნილობის შემდეგ აქ შეიქმნა. გვყავს ბავშვები, რომლებიც აგვისტოს ომიდან 9 თვეში ჩვენთან, საგარეჯოში დაიბადნენ, მაგალითად – ოთანაშვილების მარიამი 2009 წლის 7 აპრილს, ხოლო ხაბარელების მეექვსე შვილი – ანანო იმავე წლის 22 მაისს დაიბადა.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ცხოვრობენ ეკომიგრანტები, რომლებიც 1987 წელს მესტიის რაიონიდან ჩამოსახლდნენ, ასევე, აჭარიდან, შუახევის რაიონიდან – 1989 წელს, ხულოს რაიონიდან 1990-1991 წლებში. ყველა ეკომიგრანტის ჩასახლება მოხდა სახელმწიფო პროგრამით და დადგენილების საფუძველზე. სულ ჩასახლდა 98 ოჯახი, 485 სული. გიორგიწმინდაში – 3 ოჯახი, 23 სული, ხაშმში – 16 ოჯახი, 102 სული, პატარძეულში – 26 ოჯახი, 113 სული, ნინოწმინდაში – 16 ოჯახი, 73 სული, უდაბნოში – 37 ოჯახი, 174 სული. შეგვიძლია ამ ეტაპზე ვთქვათ, რომ ეკომიგრანტთა პრობლემები დღესდღეობით გვაქვს უდაბნოში – სასმელი წყალი, მათი ბინების ლეგალიზაცია, მიწის დაკანონება და სოფლის გაზიფიცირება.

ყოველწლიურად დევნილ ოჯახებს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის მიერ გადაეცემათ საადგომოდ და საახლწლოდ სხვადასხვა სახის საკვები პროდუქტები. გაიცემა ერთჯერადი დახმარებები და სამკურნალო თანხები მოთხოვნილების მიხედვით. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების საფუძველზე გარდაცვლილი დევნილის ოჯახზე დახმარების სახით გაიცემა 300 ლარი. უკიდურესად გაჭირვებული დევნილი ოჯახები მიმაგრებული არიან „სათნოების სახლში“ უფასო კვებაზე. აფხაზეთიდან დევნილ კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილ ოჯახებს ბინები გადაეცემათ უსასყიდლოდ, კერძო საკუთრებაში. ასევე, უფასოდ იქნა შეეკვანილი ბუნებრივი აირი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობისა და კომპანია „სოკარ-ჯორჯიას“ მიერ. მათ ჩვენი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ პატარა გაზქურებიც შეუძინა.

2013 წლის 22 აგვისტოდან 24 აგვისტოს ჩათვლით ქ. საგარეჯოში ჩატარდა რეგისტრაცია საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ. რეგისტრაცია გაიარა ყველა დევნილმა. აღსანიშნავია ისიც, რომ დევნილთა შემწეობა მიმდინარე წლის 1 მარტიდან 28 ლარის ნაცვლად, ერთ სულზე 45 ლარი გახდა.

უახლოეს პერიოდში კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილ ბავშვთათვის საგარეჯოში გაკეთდება სათამაშო მოედანი.

ჩვენს მუნიციპალიტეტში

ტერიტორიული ორგანო

პატარძეული

საჯარო სკოლა

ცენტრალური გზის ასფალტის ორმოულ შეკეთებაზე – 6400 ლარი; „გმირთა სავანის“ სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად – 50 ათასი ლარი; სტიქიით დაზიანებული წყლის სათავის აღსადგენად – 7 ათასი ლარი;

2010 წელს წმინდა შიოს სახელობის ეკლესიასთან მისასვლელი გზის მოასფალტებაზე 38800 ლარი გაიხარჯა;

სპორტდარბაზი და კულტურის სახლი

2011 წელს სასმელი წყლის ჭაბურღილის მოწყობას აქ 25871 ლარი მოხმარდა: აქ არსებული სუბარტეზიული ჭაბურღილისათვის ერთი კომპლექტი 5.5 კვტ სიმძლავრის სასმელი წყლის ამომქაჩი ტუმბოს შეძენა-მონტაჟს – 3963 ლარი. სუბარტეზიული ჭაბურღილების დაზიანებული ტუმბოებისა და ძრავების მომსახურებას – 5509 ლარი; სასმელი წყლის ჭაბურღილისათვის რეზერვუარის შესყიდვას – 2667 ლარი.

2012 წელს „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით აქ პრიორიტეტული საკითხი კვლავ სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია იყო, რაზედაც 26838 ლარი გაიხარჯა; შიდა გზების მოსახრეშად კი 26 ათასი ლარი;

2013 წელს სოფელში „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით 52908 ლარი მოხმარდა აქაური პრობლემების მოგვარებას.

2014 წელს კი პატარძეულში „ფიდინაანთ ხევზე“ სათავე-ნაგებობათა და მაგისტრალური წყალსადენის მოსაწყობად, სოფელში არსებული 9 ჭაბურღილის გაწმენდა-გარეცხვას 0,18 მილიონი ლარი მოხმარდება.

პატარძეულის რწმუნებულია ნიკო უნაფქოშვილი

დაიბადა 1965 წელს პატარძეულში. 1982 წელს დაამთავრა ამავე სოფლის საშუალო სკოლა და სწავლა სართიჭალის პროფსასწავლებელში განაგრძო. სწავლობდა სტავროპოლის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში (1984-91 წლებში). 1985-1987 წლებში იყო სამხედრო-სავალდებულო სამსახურში 1991-2004 წლებში იყო სოფელ პატარძეულის მთავრი ვეტექიმი.

2004-2012 წლებში „ავტროინვესტის“ მენეჯერია კახეთში მიწებისა და ფერმერების საკითხში.

2013 წლის იანვრიდან სოფელ პატარძეულის რწმუნებულია. ჰყავს მეუღლე და 3 შვილი.

სოფლის კრებაზე პატარძეულელებმა მუნიციპალიტეტის გამგეობის ხელმძღვანელობის წინაშე პრიორიტეტულ საკითხად საუბნო გზების მოწესრიგება დააყენეს. „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით განსახორციელებელი პროექტისათვის პატარძეულისთვის საქართველოს მთავრობის მიერ 49450 ლარია გამოყოფილი.

საავტომობილო ცენტრალური გზა, რომელიც რესპუბლიკის ავტომაგისტრალიდან პატარძეულზე გადის, და იმავე ავტომაგისტრალს უერთდება სიგრძით 3 კილომეტრია. ეს მანძილი მთლიანად მოწესრიგებულია, მაგრამ შიდასასოფლო გზები მოსაწესრიგებელია, მათგან ზოგიერთს სანიაღვრე არხები სჭირდება. პატარძეულელთა აზრით მოსაწესრიგებელია პარკიც.



საჯარო სკოლის მენეჯერის მოადგილე კობა ბილანიშვილი

სოფელში რამდენიმე უბანია: „აჭარელების“, „უსტიაანთი“, „თათრიაანთი“, „ნახალოვკა“, „ციხისუბანი“, „ელერდაშვილების“, „ცენტრალური“, „მუჩიაანთი“, „ჩიხლაანთი“, „ბილანიშვილების“, „ყუშიტაანთი“, „კოტორაანთი“. ამ უბნების მოსახლეობის 85% დაკმაყოფილებულია სასმელი წყლით, მაგრამ მიმდინარე წელს პატარძეულში არსებულ სასმელი წყლის ჭაბურღილებს 4 ჭაბურღილიც შეემატება.

პატარძეულელებმა ახლახანს სასოფლო-სამეურნეო ბარათები მიიღეს. აქ 1049 ბარათი იყო გასანაწილებული, მათგან დღეისათვის 50 ბარათი რჩება გადასაცემი მათთვის, ვისაც დროებით აქვთ სოფელთან კავშირი გაწყვეტილი.

მუსიკის მასწავლებელ - თეა გლოველთან ერთად

პატარძეულის გ. ლეონიძის სახელობის საჯარო სკოლის მენეჯერია **ნინო ბურდიაშვილი.** სკოლის 314 მოსწავლის სწავლა-აღზრდას 40 პედაგოგი ემსახურება. სკოლის შენობა ორსართულიანია, რომელშიც 20 საკლასო ოთახია განლაგებული. სკოლას აქვს ინფორმატიკის, ქიმიისა და ფიზიკის კაბინეტები, სააქტო დარბაზი და სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა, კვების ბლოკი. საჯარო სკოლის შენობა 2012 წელს გარემონტდა. სკოლა სრულყოფილადაა აღჭურვილი სასკოლო ინვენტარით.

მიმდინარე სასწავლო წელს ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლის კურსს 31 მეთორმეტეკლასელი დაასრულებს. პირველი კლასის სასწავლო პროგრამას

დასასრული მე-4 გვერდზე



სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება №2-ის აღსაზრდელები პედაგოგ ცისანა ოთარაშვილთან ერთად

კომლი – 1101
მოსახლეობა – 3250 კაცი
მიწის ფართობი სულ – 10762 ჰა
აქედან:
კერძო – 2106ჰა
მუნიციპალური – 740 ჰა
სახელმწიფო – 7916 ჰა
სასოფლო-სამეურნეო მიწები სულ – 7409ჰა
აქედან: კერძო – 2106ჰა
მუნიციპალური – 1037ჰა
სახელმწიფო – 4266ჰა
სახნავი სულ – 2667ჰა
აქედან:
კერძო – 1509ჰა
სახელმწიფო – 1158ჰა
სათიბი სულ – 99ჰა
საძოვარი სულ – 4375ჰა
აქედან:
კერძო – 550ჰა
მუნიციპალური – 740ჰა
სახელმწიფო – 3085ჰა
მრავალწლიანი ნარგავი სულ – 268
აქედან:
კერძო – 268ჰა

ნიკო უნაფქოშვილი

„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით პატარძეულში სხვადასხვა დროს სხვადასხვა პროექტები განხორციელდა:

2008 წელს პატარძეულის გაზიფიცირების სამუშაოებს 46100 ლარი მოხმარდა; სასმელი წყლის ჭაბურღილის ბურღვის სამუშაოებს – 20 ათასი ლარი; სასმელი წყლის ჭაბურღილის ქსელის მოწყობას – 10 ათასი ლარი; „ფიდინაანთ ხევში“ სასმელი წყლის სათავე-ნაგებობის აღდგენას – 22900 ლარი, სასმელი წყლის სათავე ნაგებობის აღდგენას – 5700 ლარი; პატარძეულში ხევზე გადასასვლელი ხიდის და ბოგირის მშენებლობას – 64100 ლარი; ბიბლიოთეკის ოთახების რეაბილიტაციას – 4800 ლარი; „ფიდინაანთ ხევის“ გაწმენდას – 125300 ლარი.

2009 წელს წყალსადენის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასრულებლად 65200 ლარი გაიხარჯა, არტეზიული ჭაბურღილის მოსაწყობად – 24900 ლარი, საუბნო გზის მოხრეშვაზე – 21200 ლარი;

რწმუნებულის თანაშემწე თამარ უსტიაშვილი

თქვენთვის, ფერმერებო!

სიმინდის მაღალი მოსავლიანობისათვის

18 მარტს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სხდომათა დარბაზში მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების რწმუნებულებსა და ფერმერებს ფირმა „ლომთაგორას“ დირექტორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი კახა ლაშხი და ამავე ფირმის „შვილობილი“ კომპანია „აგროსამეცნიერო ფირმა ლომთაგორას“ მეცნიერები: სელექციონერი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი ზურაბ ჯინჯიხაძე, აგროტექნიკოსი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი ზაურ ჯულუხიძე და ამავე ფირმის დირექტორი თეიმურაზ ჯაფარიძე შეხვდნენ.

როგორც ***ფირმა „ლომთაგორას“ დირექტორმა კახა ლაშხმა*** აღნიშნა, ფირმა „ლომთაგორა“ ერთადერთი კომპანიაა საქართველოში, რომელსაც სელექციის შედეგად ქართული ხორბლისა და სიმინდის ჰიბრიდული ჯიშები გამოჰყავს. კომპანიაში ცნობილი მეცნიერები მოღვაწეობენ, რომლებიც აქტიურად თანამშრომლობენ მეთესლეობის საერთაშორისო ორგანიზაციებთან „იკარდასთან“ და „სიმიტთან“, რომელთა გენეტიკური ბანკი „მეხიკოშია“ განთავსებული და სწორედ იგი წარმოადგენს სათესლე მასალის პირველად წყაროს. ჩვენი მეცნიერების ურთიერთობა აღნიშნულ საერთაშორისო ორგანიზაციებთან საშუალებას აძლევთ მუდმივად იყვნენ საქმის კურსში – გაეცნონ ახალ მიღწევებს სიმინდისა და ხორბლის სელექციაში მსოფლიოს მასშტაბით და ოპერატიულად აუმჯობესებენ ხორბლის და სიმინდის სათესლე მასალებს. დღეს მთავრობის უშუალო დახმარებით აგროჰოლდინგმა შეძლო აეშენებინა ევროსტანდარტების შესაბამისი თესლის გადასამუშავებელი ქარხანა და თანამედროვე მოთხოვნების ხორბლისა და სიმინდის ჰიბრიდების საუკეთესო სათესლე მასალის წარმოება შეუძლია. ყოველწლიურად აქ მინიმუმ 2-3 ჯიშის ხორბალი გამოჰყავთ, ხორბალზე ფერმერთა მხრიდან მოთხოვნილებისდა მიხედვით. „ლომთაგორა“ 2000 წლიდან ეწევა მართლაცდა მამულიშვილურ საქმიანობას. 14 წელია იგი თანამშრომლობს ქართველ ფერმერებთან და მათ შორის საგარეჯოელებთანაც. „ლომთაგორას“ მიერ წარმოებული ხორბლის ჰიბრიდული ჯიშები საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ფერმერებსაც აქვთ გამოცდილი. საინტერესოა ის, რომ „ლომთაგორას“ მიერ გამოყვანილი მასალები ქართულ გენეტიკას ემყარება, რადგან ქართული ჯიშები უფრო ამტანია და შემგუებელი ჰავის, კლიმატური პირობების მიმართ – დღეს არსებულ პრობლემებს პრობლემები ემატება, ვირუსი აქტიურდება, გლობალური დათბობა კლიმატური პირობების შეცვლას იწვევს, რაც გავლენას მხოლოდ ადამიანებზე არ ახდენს, ის მცენარეებზეც მოქმედებს. ამიტომ მნიშვნელოვანი ხდება მოსავლიანობა. ფერმერმა, სულ მცირე 5 წლის განმავლობაში მაინც უნდა მიიღოს სტაბილური მოსავალი. „ლომთაგორას“ ხორბლის 25 ქართული ჯიშიდან 21 ჯიში ჰყავს გამოყვანილი, ამდენად, თუნდაც ერთი წელი მოსავალი არ იყოს, თესლის კვლავწარმოება მომავლის იმედს იძლევა.

ამავე შეხვედრაზე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების რწმუნებულებსა და ფერმერებს სიმინდის შესახებ ინფორმაცია გააცნო ***სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორმა, ამავე კომპანიის სელექციონერმა ზურაბ ჯინჯიხაძემ.*** როგორც მან აღნიშნა, სამი საუკუნეა, რაც საქართველოში სიმინდი ერთ-ერთ მნიშვნელოვან კვების პროდუქტს წარმოადგენს. მისი პირველი სელექციონერი გლეხი იყო და დღესაც გლეხი ცდილობს ისეთი ჯიშის დათესვას და მიღებას, რომელიც მაღალპროდუქტიული იქნება. სიმინდის ჰიბრიდი არ ნიშნავს გენმოდიფიცირებულს. იგი ჩვეულებრივი სელექციის გზით, ჯიშების შეჯვარება-გამორჩევით მიიღება და სხვა ჯიშებისგან განსხვავებით მაღალ მოსავალს იძლევა.

როგორც სელექციონერმა აღნიშნა, „ლომთაგორას“ სიმინდის ჰიბრიდები „ლომთაგორა-1“, „ლომთაგორა-2“, „ლომთაგორა-3“ საქართველოს სხვადასხვა რეგიონების პირობებზეა კლიმატისა და ტენიანობის მიხედვით გათვლილი. თუ აგროტექნიკური მოთხოვნები შესრულდება, ჰექტარზე 6-8 ტონა მარცვლის მიღება იქნება შესაძლებელი. მისი პოტენციური მოსავლიანობა კი 1 ჰა-ზე 12-15 ტონას შეადგენს.

„ლომთაგორას“ წარმომადგენლებმა აუხსნეს შეხვედრის მონაწილეებს, რომ საგარეჯოში, კახეთის გზატკეცილზე საგარეჯოს „ჯი-პი-აი“ ჰოლდინგის საავადმყოფოსა და ყოფილი პოლიტექნიკური ტექნიკუმის შუაში მდებარე ტერიტორიაზე გაიხსნება (სულ 1 კვირაში) სპეციალური მაღაზია, რომელშიც „ლომთაგორას“ მიერ გამოყვანილი სათესლე მასალები ექსკლუზიურად გაიყიდება. საქართველოში ერთი ასეთი მაღაზია გაიხსნა გორში და საგარეჯოში იქნება მეორე. **კომპანიის** მიერ გამოყვანილი სიმინდის ჰიბრიდი დაფასოებული იქნება 20-10-5 კილოგრამიან ტომრებში და ფერმერებს შეეძლებათ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში აგრობარათების მეშვეობით შეიძინონ ის – 50 ქულიანი სასოფლო-სამეურნეო ბარათით ფერმერებს შეუძლიათ 5 კგ-იანი ტომრის შეძენა, რომელშიც „ა“ კლასის სიმინდის ჰიბრიდი იქნება. აღნიშნული რაოდენობა 2500მ2 ფართობი ნაკვეთისათვის სრულიად საკმარისია.ფერმერების ხელშესაწყობად გათვალისწინებულია ისიც, რომ ფერმერებმა მიაკითხონ მიკროსაფინანსო ბანკ „კრედოს“, აიღონ სესხი უპროცენტო განვადებით ჰიბრიდის თესლის შესაძენად.

სელექციონერებმა რწმუნებულებსა და ფერმერებს შესთავაზეს კვალიფიციური, მეცნიერული კონსულტაციები – მრავალწლიანი კვლევებით დადასტურებული და გამოცდილი სასუქების, ჰერბიციდების კონკრეტულ დასახელებაზე, შეტანის დოზებზე, რათა ფერმერების მიერ ჩატარებული აგროტექნიკური მოქმედებები ზუსტი და ეკონომიურად ეფექტიანი იყოს. 1 ტონა სიმინდის მარცვლის მისაღებად 20-23 კგ აზოტის, 10-12 კგ ფოსფორის, 20 კგ კალიუმის შეტანაა საჭირო მიწის ნაკვეთში და ამასთან, საჭიროა 600 ლიტრი წყალი. სელექციონერთა რეკომენდაციით:

აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ საგარეჯოს მუნიციპალიტეტში რეკომენდირებულია „ლომთაგორა-1“-ს და „ლომთაგორა-3-ის“ თესვა. თესვა უნდა ჩატარდეს 75 სმ წკრივთაშორისებით. ამ ჰიბრიდების დგომის ოპტიმალური სიხშირეა მაშინ, როცა მოსავლის აღების დროს ნათესებში შენარჩუნებულია „ლომთაგორა-1“-ის 50-55, ხოლო „ლომთაგორა-3“-ის 40-45 ათასი მცენარე ჰექტარზე. აღნიშნული სიხშირის მისაღწევად კი საჭიროა თესლი იყოს I კლასის, ფუნგიციდით დამუშავებული და ჰექტარზე დაითესოს „ლომთაგორა-1“-ის 72-75 ათასი მარცვალი, ხოლო „ლომთაგორა-3“-ის 68-70 ათასი მარცვალი. მწკრივში მარცვლებს შორის მანძილი პირველ შემთხვევაში უნდა იყოს 18-19 სმ, მეორე შემთხვევაში – 19-20 სმ. თესვასთან ერთად ჰექტარში 80-100 კგ ამონიუმის გვარჯილა, ხოლო ნიადაგის ისეთი მავნებლისაგან, როგორიცაა მახრა, მავთულა ჭია, ნათესის დაზიანების საშიშროების შემთხვევაში საჭიროა ნიადაგის ინსექტიციდი რეგენტი 4-5 კგ ჰექტარზე მიკროგრანულატორის გამოყენებით. 1 ტონა თესლის დასამუშავებლად საჭიროა 4-5 ლიტრი პრეპარატი, რომელიც უნდა გაიხსნას იმდენ წყალში, რომ სამუშაო ხსნარის რაოდენობამ შეადგინოს 10 ლიტრი. თესვის ვადებია 20 აპრილი-10 მაისი.

შეხვედრაზე „ლომთაგორას“ სელექციონერებმა უპასუხეს შეხვედრის მონაწილეთა შეკითხვებს.

შეხვედრას ესწრებოდნენ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ილია ჯიაურელი**, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე **ცისმარ თედიაშვილი,** საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს საკონსულტაციო-საინფორმაციო სამსახურის უფროსი **ნიკო ჯავახიშვილი** და ამავე სამსახურის სპეციალისტები.

საგარეჯოშიც იყო სოფლის კოოპერატივი — სად გაქრა იგი?

საგარეჯო ერთი იმ ბედნიერი სოფელთაგანი იყო, რომელსაც 1874 წელს მოეკლინა დიდი ილია მართლის მიერ გამოგზავნილი თანამოაზრე და გულდამწვარი ჭირისუფალი, წარმოშობით კავთისხეველი მღვდლის შვილი, თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული ალექსანდრე ზებედეს ძე ცხვედაძე. მისი მიზანი იყო საგარეჯოში აეშენებინა და დაეარსებინა დაწყებითი სკოლა საგარეჯოელი უღარიბესი გლეხის შვილებისათვის. მაშინ სოფელ საგარეჯოს მამასახლისი იყო დიდი ქველმოქმედი და ისიც ხალხის კეთილდღეობისათვის მოღვაწე ზურაბ მაკანტალაშვილი. მაშინდელი საგარეჯოს მოსახლეობა ახლანდელი საგარეჯოს ზემოთ, „სათავის უბნისაკენ“ და სომხების უბანში ცხოვრობდა. ჩრდილოაღმოსავლეთში ცხოვრობდნენ ქვლივიძეები, ქურდოვანიძეები, ქურხულები, გილაშვილები, ჯაბადრები და სხვა გვარების წარმომადგენლები. მესამე უბანი იყო „გაღმა უბანი“, ანუ „თაქლა“, როგორც მას უწოდებდნენ. გლეხობის დიდი რაოდენობა ცხოვრობდა ახლანდელი ცენტრის ქვემოთ, „თვალთხეთისა“ და „წიფლის ხევს“ შორის, დოდოს ეკლესიის მიდამოებში.

ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის შედეგად დაღდასმული საგარეჯოელები ენით აუწერელ სიღარიბეში ცხოვრობდნენ. მათი თხოვნა ღმერთმა შეისმინა და ილია ჭავჭავაძის მცდელობით საგარეჯოელთა დასახმარებლად ალექსანდრე ცხვედაძე გამოაგზავნა. ალექსანდრე ცხვედაძეს გვერდში დაუდგა მაშინდელი საგარეჯოს მამასახლისი ზურაბ მაკანტალაშვილი. მათ თავიანთ ირგვლივ შემოიკრიბეს ენერგიული, სოფლის მოწინავე პირები და ერთ წელიწადში სკოლის შენობა ააშენეს ახლად განაშენიანებულ „ბაზრის უბანში“ (ახლანდელი ერეკლე II-ის ქუჩაზე) იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის მახლობლად.

1875 წლის 20 ოქტომბერს ***საგარეჯოში საზეიმოდ გაიხსნა ორკლასიანი დაწყებითი ტიპის სკოლა,*** რომლის გახსნა საზეიმოდ მიულოცა საგარეჯოელებს სკოლის პირველმა გამგემასწავლებელმა ალექსანდრე ცხვედაძემ.

ალექსანდრე ცხვედაძეს მხოლოდ სკოლა რომ გაეხსნა, ეს იმდენად გასახსენებელი არ იქნებოდა იმასთან შედარებით, რაც მან საგარეჯოელთა საკეთილდღეოდ გააკეთა. დღიდან სკოლის გახსნისა, ალექსანდრე ცხვედაძემ მიზნად დაისახა ხალხის საკეთილდღეოდ გადაედგა ნაბიჯები. ხალხს სიღარიბესთან ერთად უმეცრება, უუფლებობა ტანჯავდა. ამიტომ ალექსანდრე ცხვედაძის შემდგომი ნაბიჯები იყო ხალხის განთავისუფლება ვაჭარ-მევახშეთა კაბალისაგან. იმისათვის, რომ გაჭირვებულ გლეხებს თავი დაეღწიათ ჩარჩ-ვაჭრების კაბალისაგან, ალექსანდრე ცხვედაძემ ილია ჭავჭავაძის დახმარებით **საგარეჯოში, სრულიად საქართველოში პირველად სოფლად ჩამოაყალიბა სამომხმარებლო სოფლის კოოპერატივი – ამხანაგობა.** სოფლად შემოიტანა გლეხებისათვის ხელმისაწვდომი კვების პროდუქტები და სამკერვალო საქონელი, ხელსაწყო-იარაღები.

იქ, სადაც ახლა საგარეჯოს ცენტრია, ყოფილი კინო-თეატრ „გარეჯის“ შენობის ადგილას და მის მიმდებარე ტერიტორიაზე, მოაწყო სავაჭრო ცენტრი, დადგა დიდი სასწორი – „ყაფანი“, პირუტყვისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ასაწონად, იქვე მოაწყო სასოფლო ყრილობის (ფორუმის) მოსაწვევი ადგილი, სადაც საჯაროდ წყდებოდა სოფლის საჭირბოროტო საკითხები.

ალექსანდრე ცხვედაძემ 1877 წელს **საგარეჯოში შექმნა და საფუძველი ჩაუყარა შემნახველ გამსესხებელ ბანკს**, საიდანაც უმცირესი პროცენტის გადახდით, გაჭირვებულ გლეხებს განვადებით შეეძლოთ სესხის აღება. ალექსანდრე ცხვედაძემ იზრუნა სახალხო განათლებისა და კულტურის შემოტანისთვისაც. 1876 წელს მან საფუძველი ჩაუყარა ბიბლიოთეკისა და სახალხო თეატრის შექმნის საქმესაც. მაგრამ, მარტო ამანაც არ დააკმაყოფილა გულანთებული ენთუზიასტი მამულიშვილი. 1877 წელს ალექსანდრე ცხვედაძემ **მთელ გარე-კახეთში პირველმა შექმნა საკვირაო ბაზარი „იარმარკა“,** სადაც გლეხები ყიდდნენ და ყიდულობდნენ პირუტყვს, ასევე ნამეტ გლეხურ პროდუქციას და რაც მთავარია, ალექსანდრე ცხვედაძემ შეუძლებელი შეძლო – იმდროინდელ საქართველოში – თბილისიდან ჩამოიყვანა ექიმი და საგარეჯოში ექიმ ხუდადოვის თაოსნობით შექმნა სამკურნალო-პროფილაქტორიუმი და უფასო აფთიაქი, რაც იმდროინდელ საქართველოში დაუჯერებელ ფაქტს წარმოადგენდა.

ალექსანდრე ცხვედაძემ კიდევ ერთი სიკეთე გაუკეთა საგარეჯოს და მთელ გარე-კახეთს.

იმ დროს ახლანდელი საგარეჯოს რაიონი, 1928 წლამდე, შედიოდა თბილისის მაზრის სართიჭალის საბოქაულოში, ცენტრით სოფელი სართიჭალა. მაშინდელი საგარეჯო მოწყვეტილი იყო თბილისსა და მთელ საქართველოს, ვინაიდან სამხედრო და საფოსტო-სატრანზიტო გზა თბილისიდან კახეთში მიმავალი გადიოდა მდინარე იორის მარჯვენა სანაპიროზე კრასნოგორკის გავლით, ხოლო მეორე გზა თბილისიდან გომბორის გავლით მიდიოდა კახეთისკენ. საგარეჯო და მდინარე იორის მარცხენა სანაპიროს სოფლები მთავარი გზიდან აცდენილი იყო. ალექსანდრე ცხვედაძემ ილია ჭავჭავაძის დახმარებით მიაღწია იმას, რომ **1884 წლიდან თბილისიდან კახეთში მიმავალი სამხედრო-საფოსტო გზა საგარეჯოს გავლით აქეთ გადმოატანინა,** რაც უდიდეს პროგრესს წარმოადგენდა საგარეჯოს განვითარებისათვის. ალექსანდრე ცხვედაძეს კიდევ ბევრი სიკეთე ჰქონდა ჩაფიქრებული გარე-კახეთის სოფლებისათვის, მაგრამ მოულოდნელმა სიკვდილმა მის მიზნებს განხორციელება არ აცალა. 1889 წელს გარდაიცვალა და საგარეჯომ დიდი სიყვარულითა და მწუხარებით დაიტირა თავისი დიდი მოიმედე და ღვაწლმოსილი. იგი დაკრძალეს საგარეჯოს იოანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძრის ჩრდილო მხარეს და დიდი ძეგლიც დაუდგეს. მაგრამ, ის დიდი ამაგი, რაც ალექსანდრე ცხვედაძემ დაუტოვა საგარეჯოელებს გასული საუკუნის 30-იან წლებში, საგარეჯოს „ჩეკას“ უფროსმა საგარეჯოელი კომკავშირელების ხელით ეკლესიაც დაანგრიეს და ალექსანდრე ცხვედაძის ძეგლიც ზედ მიაყოლეს. მალე ისე წაიშალა ამ ღვაწლმოსილი მამულიშვილის კვალი, რომ მომგონებლებიც კი აღარ ჰყავდა. ერთხანს დაკარგული იყო მისი საფლავიც. მაგრამ მოძიების შემდეგ ახლა იგი იქვე, ქალაქის №1 საბავშვო ბაღის ეზოშია დაკრძალული.

მისი უდიდესი ნამოღვაწარიდან საგარეჯოსა და გარე-კახეთში დარჩა სკოლებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ფართო ქსელი, რომელმაც შემდგომში იბარტყა და სიკეთე დათესა, მაგრამ ბევრიც დაიკარგა და უკვალოდ გაქრა.

მის მიერ დაარსებული „ბაზარ-იარმარკიდან“ კვალიც არ დარჩა. **ამხელა ქალაქი ბაზრის გარეშეა. შემნახველ გამსესხებელი ბანკიდან შემნახველი ბანკი-სალარო უკვალოდ გაქრა** და მეანაბრეების მილიონობით თანხამ ბანდიტების ჯიბეში გადაინაცვლა. ერთ დროს შემნახველი სალაროც ალექსანდრე ცხვედაძემ დააარსა.

რაც შეეხება სოფლის სამომხმარებლო კოოპერატივს, რომელიც რესპუბლიკის სოფლებში პირველი იყო თავისი მეპაიეების სიმრავლით და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, იგი თვალსა და ხელს შუა გაქრა, ხოლო მისი მეანაბრეებისათვის, რომლის სრულუფლებიანი მეპაიე მფლობელიც მთელი ჩემი ოჯახი და ათასობით საგარეჯოელიც არის, ისე გაანიავეს ამ დიდი სავაჭრო დაწესებულების ქონება, რომ ბოდიშიც არ მოუხდიათ „ გაცურებული“ მეპაიეებისათვის. საგარეჯოში გასული საუკუნის 90-იან წლებამდე არსებობდა ქონებისა და სიცოცხლის დაზღვევის სახელმწიფო დაწესებულება, სადაც მოსახლეობის გარკვეული ნაწილი და მათ შორის ჩემი ოჯახის წევრებიც დაზღვეული ვიყავით, მაგრამ ეს დაწესებულებაც თავისი ბენეფიციარებით ისე დაიკარგა, როგორც „შარშანდელი თოვლი“.

ალექსანდრე ელერდაშვილი,
კულტურის დამსახურებული მუშაკი, ისტორიკოსი, ჟურნალისტი.

აღნიშნული საკითხი რედაქციამ შეკლებისდაბვარად შეისწავლა და აი, რის თქმა შეგვიძლია:

ცეკავშირი აერთიანებდა საქართველოს მასშტაბით ყველა რაიონში არსებულ რაიკავშირებს და რაიკოოპერატივებს. საგარეჯოს რაიკავშირში შედიოდა ჩვენს რაიონში არსებული ყველა მაღაზია, პურკომბინატი, საზკვების გაერთიანება, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების კანტორა, ლიმონათის საამქრო, ავტოსატრანსპორტო საწარმო, ძეხვის საამქრო. რაიონში არსებობდა ორი სოფლის კოოპერატივი: 1. საგარეჯოსი, სადაც შედიოდა თოხლიაურიდან, უდაბნოდან გომბორის ჩათვლით ყველა სასურსათო და შერეული მაღაზია. 2. ბადიაურის ს/კოოპერატივი მანავიდან აზერბაიჯანული სექტორის სოფლების ჩათვლით.

სოფლის კოოპერატივების თავმჯდომარეებს ირჩევდა რწმუნებულთა კრება. მათ ჰქონდათ ცალკე ადმინისტრაცია, ჰყავდათ ბუღალტერი, მოადგილე, ეკონომისტი, საქონელმცოდნეები, რვიზორი და სხვა. თავმჯდომარეები ვალდებული იყვნენ მათ დაქვემდებარებაში მყოფ მაღაზიებში უწყვეტად ყოფილიყო პირველადი მოხმარების საქონელი: პური, მარილი, ასანთი, ნავთი, საპონი, სარეცხის საშუალება, კონსერვი, ღვინო, ფქვილი და ა.შ.

რაიკავშირის სისტემაში მუშაობის დაწყებისას მუშაკი ავტომატურად მეპაიე ხდებოდა, ყოველ კვარტალში ერთხელ იხდიდა საპაიოს. გადახდილი თანხის აღმნიშვნელი მარკები ჩაეკერებოდა საპაიო წიგნაკში. გარკვეული თანხის დაგროვების შემდეგ მუშაკი ხდებოდა სრული მეპაიე, ანუ რაიკავშირის ქონების მეწილე. ამ წიგნაკით მეპაიეს შეეძლო რაიკავშირის ქსელში შემოსული დეფიციტი საქონლის სხვებისგან განსხვავებით პირველ რიგში ყიდვა. მეპაიეები შეიძლებოდა რიგითი მოქალაქეებიც გამხდარიყვნენ. აქტიურ მეპაიეებს ირჩევდნენ რწმუნებულებად. ისინი რწმუნებულთა კრებაზე გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობდნენ და გამგეობის წევრები ხდებოდნენ.

რწმუნებულთა კრებაზე ხდებოდა ერთი წლის განმავლობაში მიღებული მოგებიდან ახალი ობიექტების აშენების გადაწყვეტილება.

რაიკავშირს გააჩნდა თავისი სამოქმედო პროგრამა და წესდება, რის მიხედვითაც სრული მეპაიე ხდებოდა რაიკავშირის ბალანსზე რიცხული ქონების მეწილე. ამ ორგანიზაციის დაშლის შემთხვევაში ქონება უნდა გადანაწილებულიყო თითოეულ მეპაიეზე. ცეკავშირის დაშლის შემდეგ გაიყიდა მისი კუთვნილი მნიშვნელოვანი ობიექტები, შესაბამისი მოხდა რაიონებშიც, მაგრამ ობიექტების გაყიდვით მიღებული თანხები მოხვდა მხოლოდ ეროვნულების ხელში. მეპაიეთა წვლილი ამ ქონების შექმნაში აღარავინ გაიხსენა. გაყიდული ქონებიდან 25% საგადასახადოში უნდა გადარიცხულიყო, რაც არ მოხდა. დაგროვდა სხვა გადასახადებიც. დაგროვილი ვალის გამო რაიკავშირის ქონებას ყადაღა დაედო. რაიკავშირის ქონების დარჩენილი ნაწილი აუქციონზე გაიყიდა 2 წლის წინ, მაგრამ ვერ დაიფარა დაგროვილი ვალი, რის გამოც კვლავ ყადაღა ადევს ქონებას.

№6(68) 2014 წელი, 16-31 მარტი

დასასრული

კი 19 მოსწავლე ეუფლება. სკოლაში ფუნქციონირებს ქორეოგრაფიისა და მუსიკის შემსწავლელი წრეები. ასევე, მუშაობს გახანგრძლივებული სწავლების ჯგუფი. სკოლის პედაგოგიური კოლექტივი ამაყობს 13 სერტიფიცირებული პედაგოგით. აქ ღირსეულად განვლეს თავიანთი მოღვაწეობის ათწლეულები დაწყებითი განათლების საფეხურის პედაგოგებმა ნუნუ ბურდული-მუჩიაშვილმა, ბაბულია ბილანიშვილმა და გულო ელერდაშვილმა, გულო გულიაშვილმა, რომელთაც ასევე მხარში წარმატებული, შემოქმედებითი პედაგოგიური საქმიანობით ახალგაზრდა პედაგოგებიც ამოუდგნენ – ნანა ოთარაშვილი, ოლღა მურჯიკნელი, ლია მღებრიშვილი, თამარ გულიაშვილი.

მარიამ შათირიშვილი

პატარძეულის №1 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მენეჯერია **მარიამ შათირიშვილი.** აქ სკოლამდელთა 2 ჯგუფია: 2-3 წლიანები (აღმზრდელი ნაზიკო როსტომაშვილი) და 4-5 წლიანები (აღმზრდელი ნელი ქურხული). დაწესებულებაში 50-ზე მეტი ბავშვია, აქედან 30 უფროსი ასაკისაა, მათგან 10 შემოდგომაზე პირველ კლასში შევა.

ჩვენს მუნიციპალიტეტში

ტერიტორიული ორგანო

პატარძეული

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება №1-ის აღსაზრდელები მასწავლებელ ნელი ქურხულთან და მუსიკის მასწავლებელ ჟანა ონაშვილთან ერთად.

პატარძეულის №2 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში (**მენეჯერი ეკა ახვერდაშვილი)** 50 აღსაზრდელი ორ ჯგუფშია განაწილებული: 4-5 წლიანები (აღმზრდელი ცისანა ოთარაშვილი), სადაც 29 აღსაზრდელია, აქედან 23 სასკოლო ასაკისაა და 3-4 წლიანთა ჯგუფი (აღმზრდელი მარინა გენგაშვილი).

მაგული ტორიაშვილი

პატარძეულის ***სასოფლო ბიბლიოთეკა*** 2007 წლიდან ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციის მეორე სართულის ორ ოთახშია განთავსებული 16098 წიგნადი ფონდით. ბიბლიოთეკარის თინა (ნათელა) მუჩიაურის ინფორმაციით ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდით 130 აბონენტი სარგებლობს. აქ მეთოდური და მხატვრული ლიტერატურით სოფლის ახალგაზრდობა, სტუდენტები, საჯარო სკოლის მოსწავლეები, დიასახლისები სარგებლობენ.

ნანული ბედოიძე

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება №1-ის აღსაზრდელები მასწავლებელ ნაზიკო როსტომაშვილთან ერთად

საოჯახო მედიცინის ცენტრში ოჯახის ორი ექიმი – **მაგული ტორიაშვილი და ნანული ბედოიძე** 3600 პატარძეულელს ემსახურება და მათთან ერთად კრასნაგორკის (სათაფლეს) მოსახლეობასაც.

ბიბლიოთეკარი თინა მუჩიაური

სიახლეები

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში

მენიუ მრავალფეროვანი გახდა

ადრე ამ დაწესებულებას საგარეჯოს №1 საბავშვო ბაგა-ბაღი ერქვა. ერთი მარტივი მიზეზის გამო – საგარეჯოს რაიონში პირველი საბავშვო ბაგა-ბაღი იყო, რომელიც 1932 წელს კომუნისტების მიერ დანგრეული ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიის ადგილზე აშენდა. ბაგა-ბაღის I გამგე მაკრო გილაშვილი იყო, განათლებით მედიცინის და. იგი 50 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა დაწესებულებას, რომელიც ერთხანს საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში იყო და მოგვიანებით გადაეცა განათლების სამინისტროს.

საგარეჯოს №2 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში, როგორც მას დღეს უწოდებენ (მენეჯერი მზია ბეჟიტაშვილი) 200 აღსაზრდელი 7 ჯგუფშია გადანაწილებული. მათ აღზრდა-განვითარებას 7 აღმზრდელი: გულო მარტიაშვილი, ნანა დიღმელაშვილი, სოფიკო ურდულაშვილი, ნინო პატაშური, ციური ქართველიშვილი, ამალია ბერიძე, მაია კაპანაძე, ორი ლოგოპედი: ნინო მუჩიაური და ლუიზა ქიტოშვილი, ორი ფსიქოლოგი – მარიკა ქიტოშვილი და ნინო როჭიკაშვილი, ორი მუსიკის მასწავლებელი – თეა თედიაშვილი და მაია ფანოზიშვილი, მეთოდისტი ზეინაბ რევაზიშვილი, აღმზრდელის 7 თანაშემწე და მზარეული ემსახურება.

დაწესებულებაში 62 ადრეული ასაკის (2-3 წლის) ბავშვია, რომლებიც თავიანთ სასწავლო და სააღმზრდელო პროგრამას დიდი ხალისით ეუფლებიან.

5 წლიანთა ჯგუფი (36 აღსაზრდელი), რომელსაც აღმზრდელი ამალია ბერიძე სასკოლოდ ამზადებს, ყოველდღიურად იმ სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამას გადის, რომელიც სკოლის I კლასში შემსვლელთათვისაა გათვალისწინებული. ინოვაციური მეთოდებით ინტერაქტიული სწავლების კურსი აღსაზრდელებს პროგრამის ადვილად ათვისების საშუალებას აძლევს.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების აღსაზრდელები მასწავლებელ გულიკო მარტიაშვილთან ერთად

ასევე, შესაბამისი სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამები აქვთ 3-4 წლიან და 4-5 წლიან ჯგუფებსაც.

ამჯერად 5 წლიანთა ჯგუფის აღსაზრდელები ამალია მასწავლებელთან ერთად ღია გაკვეთილებისათვის, ნოდარ დუმბაძის საღამოსა და ფოლკლორული საღამოსათვის ემზადებიან, ოღონდ აქაც, ინოვაციური მეთოდებით. ვნახოთ, ალბათ მაყურებელი შეაფასებს მათ ნამუშევარს...

დაწესებულების აღსაზრდელების 4 ჯგუფში ინგლისურს პედაგოგი ნინო როსტომაშვილი და ქორეოგრაფიას თინათინ სუხიაშვილი ასწავლის. ინტერესით, დიდი მონდომებით ეცნობიან პაწიები ინგლისურს, განსაკუთრებული სისწრაფით აითვისეს კომპიუტერის სწავლებისათვის შესატყვისი ინგლისური სიტყვები...

– ჩვენს დაწესებულებაში ადრეული ასაკისას და 3-4 წლიან ჯგუფებს შუადღეს ვაძინებთ. გვაქვს „გახანგრძლივებული“ ჯგუფი, რომელსაც 2 პედაგოგი მორიგეობით ემსახურება საღამოს 6 საათამდე.

დაწესებულების კვების ბლოკი თანდათან წესრიგდება. აქ მალე ცხელი წყალი გამდინარე ექნებათ – შეჰყავთ სასმელი წყლის ახალი ქსელი და ამონტაჟებენ წყლის გამათბობელს, რომელიც კვების ბლოკის თანამშრომლებსაც გაუადვილებთ მუშაობას და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებიც ზედმიწევნით ზუსტად იქნება დაცული. ამასთან, საკმაოდ გაიზარდა კვების რაციონი, მრავალფეროვანი გახდა მენიუ, – გვეუბნება ***მენეჯერი*** **მზია ბეჟიტაშვილი**:

– ჩვენს სისტემაში მართლაც მნიშვნელოვანი სიახლეებია. მოგეხსენებათ, რომ ჩვენი გაერთიანების დირექტორის ქ-ნ ელზა გილაშვილის დიდი მონდომებითა და ძალისხმევით ბევრი სასიკეთო ცვლილება მოხდა, თუნდაც ავიღოთ კვების რაციონი, მენიუ. იანვრიდან კვირაში ორჯერ ბავშვს ეძლევა საქონლის ხორცი წვნიანით, კვირაში ერთხელ ქათმის ხორცი. მათ 1 იანვრიდან აქვთ არაჟანი, კისელი, ლობიო, შესქელებული რძე, ორცხობელა, კვერცხი. დაემატა სამხარი. ბოსტნეულიდან მათ ეძლევათ თითქმის ყველა სახის ბოსტნეული, ხილიდან – ვაშლი. აღსაზრდელებს 10 დღეში ერთხელ ეძლევათ ხორციანი ხინკალი, ხშირად აქვთ კარტოფილიანი ხინკალი, ბლინი. მინდა გითხრათ, რომ კვება ისეთი მრავალფეროვანია და ისეთი კალორიული, ბავშვს, რომელიც ნორმალურად იღებს საკვებს, სახლში მისულს კვება აღარ დასჭირდება.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების აღსაზრდელები მასწავლებელ ნანა დიღმელაშვილთან ერთად

ჩვენი დაწესებულების შენობას მთლიანი გადახურვა 2006 წელს გაუკეთდა, მაგრამ გასული 2012-2013 წლების სტიქიურმა მოვლენებმა ისე დააზიანა სახურავი, რომ წვიმისა და თოვლის წყალი თითქმის ყველა ოთახში ჩამოდიოდა. ქ-ნი ელზას აქტიური ჩარევით და გულშემატკივრობით ეს საკითხი გადაიჭრა. ხელოსნებმა სულ ახლახან დაამთავრეს დაზიანებული სახურავის ამოცვლა, მაგრამ შენობის ჭერი მთლიანად შესაცვლელია ახლო მომავალში. ვიმედოვნებთ, რომ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა ხელმძღვანელობა ამაშიც მოგვეხმარება.

თ. ილაური

ხანძარი

ყველამ ერთად იმარჯვა

„კოპალეს“ ტყე დაწვას გადაარჩინეს

„კოპალე“ უძველესი ქართული ქრისტიანული სალოცავია, რომელიც პატარა ჩაილურის თავში, ტყით დაფარულ მაღალ გორაკზეა აშენებული. ყოველ გაზაფხულზე აქ იმართება მისი სახელობის დღეობები, რომელსაც ჩაილურელების გარდა, ჩვენი მუნიციპალიტეტის სხვა სოფლების მცხოვრებლებიც ესწრებიან. 19 მარტის საღამოს, ამ სალოცავის მიმდებარე ტერიტორიაზე ჯერჯერობით დაუდგენელი მიზეზებით, ხანძარი გაჩნდა. ეს ამბავი პირველმა საგარეჯოს სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის მუშაკმა გაიოზ ბეციაშვილმა შეიტყო, რომელიც იმ დღეს საგარეჯოში, მინდორში მუშაობდა. მეხანძრის გამოცდილ თვალს არ გამოეპარა ტყეების თავზე შავად დაგრაგნილი კვამლის

ბოლქვები და დაუყოვნებლივ სახანძრო-სამაშველო სამსახურს მიაშურა.

– მივიღეთ თუ არა ამ შემთხვევის შესახებ ინფორმაცია, – გვითხრა ***საგარეჯოს სახანძრო და სამაშველო სამსახურის უფროსმა*** **ზაქარია ოტიაშვილმა,** – მაშინვე მობილიზაცია გავუკეთეთ სამსახურში მყოფ მეხანძრეებს, სახანძრო ინვენტარს და პიკაპით, რომელიც ჩვენი თხოვნით საგარეჯოს პოლიციის განყოფილების უფროსმა დავით ჭიაბერაშვილმა გამოგვიყო, შემთხვევის ადგილისკენ გავწიეთ. ჩვენთან ერთად ხანძრის ჩასაქრობად წამოვიდა გაიოზ ბეციაშვილი, რომელსაც იმ დღეს მორიგეობა არ უწევდა, მაგრამ თავისი კოლეგების დახმარებაზე ერთი წუთითაც არ შეყოყმანებულა. რადგან ხანძრის ადგილსამყოფელი დაზუსტებით არ ვიცოდით, პირველად თოხლიაურის რწმუნებულს ვაჟა გიგაურს მივაკითხეთ, მა-

დასასრული მე-6 გვერდზე

ᲯᲘᲣ-ᲯᲝ

ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲓᲐᲠᲑᲐᲖᲔᲑᲨᲘ

ᲘᲡᲘᲜᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲐᲜ

XX საუკუნეში სპორტულ სამყაროში განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ჭიდაობის ისეთმა სახეობამ, როგორიცაა ძიუ-დო. საგარეჯოს სპორტული საზოგადოება ძიუ-დოთი გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან დაინტერესდა. თანდათან შეცვალა ქართული, თავისუფალი, კლასიკური ჭიდაობის წრეები ძიუ-დოს წრეებმა. ინტერესი მართლაც დიდი იყო – საერთაშორისო სარბიელზე გასასვლელად მსოფლიო სპორტი უკვე ძიუ-დოს მიმდევრებს მოითხოვდა. ბერძნულ-რომაული, თავისუფალი ჭიდაობა, –მაგრამ უპირატესობას ძიუ-დოს აძლევდნენ. „ამომავალი მზის“ ქვეყანაში დაფუძნებული ჭიდაობის ეს სახეობა მართლაც კონკურენტუნარიანი აღმოჩნდა. თავად დამწყები სპორტსმენებიც, თუნდაც ბავშვობის ასაკში ძიუ-დოთი უფრო ინტერესდებიან.

დღეს ჩვენ გაზეთის ამ ნომერში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტგაერთიანების ძიუ-დოს რამდენიმე სექციის მუშაობაზე გვექნება საუბარი. დავიწყოთ იმით, რომ 1 მარტს საგარეჯოს სპორტდარბაზში ჭიდაობა ძიუ-დოში საგარეჯოს რაიონული პირველობა გაიმართა, რომელშიც საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2001-2002, 2002-2003 და 2003-2004 წლებში დაბადებული 130 ბავშვი იღებდა მონაწილეობას, მათგან სხვადასხვა კატეგორიებისა და დაბადების თარიღების მიხედვით ***პირველი ადგილები დაიკავეს:***

გიორგი სონიძემ (27კგ წონითი კატეგორია), მირიან კურდღელაშვილმა (30კგ),გიორგი დურიშვილმა (34კგ), გიორგი ოსეფაშვილმა (38კგ), ლუკა სიმონიშვილმა (46კგ), თენგო ხებრელაშვილმა (42კგ), მინდია ბაბაკიშვილმა, გიგა ჭინჭარაულმა (38კგ), თემურ დურიშვილმა (46კგ), გიორგი კაკუტაშვილმა (50კგ), თორნიკე ქურხულმა (+50კგ) (ყველა საგარეჯო), მახარე გულბანმა (27კგ) – უდაბნო, ვასიკო ოთიაშვილმა (კაკაბეთი), მიშა გურგენიძემ, სოსო გიქორაშვილმა (ბოგდანოვკა), დათო კვლიშვილი, ზურაბ კვლიშვილმა (გიორგიწმინდა).

მეორე ადგილები დაიკავეს: გიორგი კურდღელაშვილმა (24კგ, საგარეჯო), იაგო გულბანმა (38კგ უდაბნო), ლექსო ზუკაკიშვილმა (30კგ. პატარძეული), ზაზა როსტიაშვილმა (50კგ. პატარა ჩაილური), ელსევაშ კულიევმა, ვუგარ გურბანოვმა (მუდანლო), გიგა მასურაშვილმა (კაკაბეთი), გურამ ახალკაციშვილმა, დაჩი ფოჩიანმა, (თოხლიაური), ნიკა ჩოკოშვილმა (ბოგდანოვკა), ომარ იობაშვილმა, თამაზ მეკოკიშვილმა (გიორგიწმინდა).

მესამე ადგილი დაიკავეს: შოთა ბაჩოშვილმა (24კგ შოთა 2007 წელსაა დაბადებული, მაგრამ თავისი განსაკუთრებული, გამორჩეული ტექნიკური შესაძლებლობით თავისზე ასაკით დიდებთან ერთად მიიღო მონაწილეობა და აქაც გამოიჩინა თავი საუკეთესო საჭიდაო ტექნიკით), თენგო მაისაშვილმა (27კგ), გიორგი რევაზიშვილმა (27კგ), გუგა სიბოშვილმა (42კგ), თორნიკე ოდიკაძემ (34კგ), საბა ხაბარელმა (34კგ), ლუკა ბუჩაშვილმა (50კგ. ყველა საგარეჯო); ვიტალი კოსიაშვილმა (27კგ), გიორგი არღვლიანმა (34კგ), ცოტნე იოსელიანმა (30კგ. ყველა უდაბნო), გიორგი ლოლაძემ (30კგ), გიორგი როსტიაშვილმა (27კგ), ნიკა მანჩაშვილმა (30კგ. ყველა პატარა ჩაილური); შალვა სიბოშვილმა (30კგ, მირზა სუხიაშვილმა (34კგ. პატარძეული); ელვირ კახრამანოვმა, ათაქშირ კულიევმა (მუდანლო), შალვა მარგებაძემ, გიორგი ბორაშვილმა, ვალერი კოზმანაშვილმა, ელდარ ჯიქიძემ (კაკაბეთი), გოგა ნარეკლიშვილმა, რეზო ჯიქიძემ (ბოგდანოვკა), სერგო კვლიშვილმა, ბექა თათრიშვილმა (გიორგიწმინდა).

მუდანლოელ ძიუდოისტებს კიმანოებს გადასცემს სპორტგაერთიანების დირექტორი გია მაისურაძე

თოხლიაურელი ძიუდოისტები მწვრთნელ ქართლოს თედიაშვილთან ერთად

კაკაბელი ძიუდოისტები მწვრთნელ გია მასურაშვილთან ერთად

ეს სპორტსმენები საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების სხვადასხვა სპორტდარბაზებში გადიან წვრთნას. ამ დღეებში სპორტსმენების ხელმძღვანელობასთან ერთად ვეწვიეთ მომავალ ძიუ-დოისტებს და გავეცანით მათ მუშაობას.

ᲙᲐᲙᲐᲑᲔᲗᲘ

ᲙᲐᲙᲐᲑᲔᲗᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ ᲛᲘᲡᲣᲚᲔᲑᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲡᲐᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲬᲝᲜᲘᲡ ᲝᲠᲘᲕᲔ ᲡᲥᲔᲡᲘᲡ ᲫᲘᲣᲓᲝᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲓᲐᲒᲕᲮᲕᲓᲜᲔᲜ. ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲙᲐᲠᲒᲔᲑᲘ, ᲚᲐᲛᲐᲖᲔᲑᲘ, ᲛᲝᲡᲐᲤᲔᲠᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲠᲐᲓᲐᲪᲜᲐᲘᲠᲐᲓ ᲡᲐᲡᲐᲪᲘᲚᲝᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲔᲡ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲫᲘᲣᲓᲝᲘᲡᲢᲔᲑᲘ. ᲗᲝᲗᲥᲛᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ ᲤᲝᲠᲛᲐᲨᲘ, ᲔᲠᲗᲜᲐᲘᲠᲐᲓ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲗᲐᲕᲘᲡᲖᲔ ᲐᲡᲐᲙᲘᲗ ᲓᲘᲓᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲥᲐᲪ ᲒᲐᲛᲝᲩᲘᲜᲐ ᲗᲐᲕᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲡᲐᲭᲘᲓᲐᲝ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲗ), ᲗᲔᲜ�გᲝ ᲛᲐᲘᲡᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ (27Კ�გ), �გᲘᲝᲠ�გᲘ ᲠᲔᲕᲔᲖᲗᲘᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ (27Კ�გ), ᲒᲣ�გᲐ ᲡᲘᲑᲝᲨᲕᲘᲚᲛᲐ (42Კ�გ), ᲗᲝᲠᲜᲘᲙᲔ ᲝᲓᲘᲙᲐᲫᲔᲛ (34ᲙᲗ), ᲡᲐᲑᲐ ᲮᲐᲑᲐᲠᲔᲚᲛᲐ (34ᲙᲗ), ᲚᲣᲙᲐ ᲑᲣᲩᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ (50ᲙᲗ. ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝ); ᲕᲘᲢᲐᲚᲘ ᲙᲝᲡᲘᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ (27ᲙᲗ), ᲒᲘᲝᲠ�გᲘ ᲐᲠᲦᲕᲚᲘᲐᲜᲛᲐ (34ᲙᲗ), ᲪᲝᲢᲜᲔ ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲛᲐ (30ᲙᲗ. ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲓᲐᲑᲜᲝ), ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲬᲛᲘᲜᲓᲐ).

მესამე ადგილი დაიკავეს: შოთა ბაჩოშვილმა (24კგ შოთა 2007 წელსაა დაბადებული, მაგრამ თავისი განსაკუთრებული, გამორჩეული ტექნიკური შესაძლებლობით თავისზე ასაკით დიდებთან ერთად მიიღო მონაწილეობა და აქაც გამოიჩინა თავი საუკეთესო საჭიდაო ტექნიკით), თენგო მაისაშვილმა (27კგ), გიორგი რევაზიშვილმა (27კგ), გუგა სიბოშვილმა (42კგ), თორნიკე ოდიკაძემ (34კგ), საბა ხაბარელმა (34კგ), ლუკა ბუჩაშვილმა (50კგ. ყველა საგარეჯო); ვიტალი კოსიაშვილმა (27კგ), გიორგი არღვლიანმა (34კგ), ცოტნე იოსელიანმა (30კგ. ყველა უდაბნო), გიორგი ლოლაძემ (30კგ), გიორგი როსტიაშვილმა (27კგ), ნიკა მანჩაშვილმა (30კგ. ყველა პატარა ჩაილური); შალვა სიბოშვილმა (30კგ, მირზა სუხიაშვილმა (34კგ. პატარძეული); ელვირ კახრამანოვმა, ათაქშირ კულიევმა (მუდანლო), შალვა მარგებაძემ, გიორგი ბორაშვილმა, ვალერი კოზმანაშვილმა, ელდარ ჯიქიძემ (კაკაბეთი), გოგა ნარეკლიშვილმა, რეზო ჯიქიძემ (ბოგდანოვკა), სერგო კვლიშვილმა, ბექა თათრიშვილმა (გიორგიწმინდა).

სპორტგაერთიანების მთავარი სპეციალისტი ტარიელ როსტომაშვილი სპორტულ ტანსაცმელს გადასცემს კიკ-ბოქსინგის წრის აღსაზრდელებს

ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ ᲗᲣ ᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲑᲘᲭᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ, ᲐᲜ ᲣᲤᲠᲝᲡᲔᲑᲘ ᲗᲣ ᲕᲐᲓᲔᲕᲔᲑᲗ ᲗᲕᲐᲚᲧᲣᲠᲡ. ᲙᲐᲙᲐᲑᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲙᲚᲐᲡᲚᲔᲑᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲜᲔᲜ, 2004 ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ – ᲜᲐᲗᲘᲐ ᲛᲭᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲜᲘᲜᲝ ᲛᲔᲜᲝᲒᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

– ᲡᲐᲘᲓᲐᲜ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲘᲗ ᲐᲥ? – ᲕᲔᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ ᲒᲝᲒᲝᲜᲔᲑᲘ. – ᲩᲕᲔᲜᲛᲐ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲛᲐ ᲜᲐᲗᲝ ᲯᲘᲦᲐᲣᲠᲛᲐ ᲒᲕᲘᲠᲩᲘᲐ, ᲙᲐᲠᲒᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ, ᲗᲣ ᲒᲝᲒᲝᲜᲔᲑᲘᲪ ᲘᲕᲚᲘᲗ ᲯᲘᲣ-ᲓᲝᲨᲘ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲪ ᲛᲝᲕᲔᲓᲘᲗ,– ᲛᲔᲣᲑᲜᲔᲑᲐ ᲜᲐᲗᲘᲐ. ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲜᲘᲜᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲯᲘᲣ-ᲓᲝᲨᲘ ᲡᲘᲐᲠᲣᲚᲘ, ᲓᲐᲜᲐᲗ, ᲓᲔᲓᲘᲙᲝᲡ ᲛᲘᲣᲪᲘᲐ ᲠᲩᲔᲕᲐ ᲜᲘᲜᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲯᲘᲣ-ᲓᲝᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲒᲕᲮᲕᲓᲜᲔᲚᲛᲝ ᲗᲐᲕᲘᲡᲖᲔ ᲐᲡᲐᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲬᲝᲜᲘᲡ ᲝᲠᲘᲕᲔ ᲡᲥᲔᲡᲘᲡ ᲯᲘᲣᲓᲝᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲓᲐᲒᲕᲮᲕᲓᲜᲔᲜ. ᲓᲦᲔᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲗᲝᲗᲮᲚᲘᲐᲣᲠᲘᲡ ᲯᲘᲣ-ᲓᲝᲡ Მ�წᲕᲠᲗᲜᲔᲚᲛᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲗ ᲐᲦᲡᲐᲖᲠᲓᲔᲚᲔᲑᲘ 1 ᲛᲐᲠᲢᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲒᲣᲠᲐᲛ ᲐᲮᲐᲚᲙᲐᲪᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ (58Კ�გ ᲬᲝᲜᲘᲗᲘ ᲙᲐᲢᲔ�გᲝᲠᲘᲐ) ᲓᲐ ᲓᲐᲩᲘ ᲤᲝᲩᲘᲐᲜᲛᲐ (46ᲙᲗ) ᲙᲐᲠᲒᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲘᲪ ᲐᲩᲕᲔᲜᲔᲡ – ᲛᲐᲗ II ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲙᲐᲕᲔᲡ. ᲔᲩᲕᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔᲐ, ᲛᲐᲗᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲘ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲔᲑᲘᲡᲙᲔᲜ ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲕᲔᲚᲐᲓ ᲒᲐᲜᲐᲬᲧᲝᲛᲡ.

ᲑᲝᲒᲓᲐᲜᲝᲕᲙᲔᲚᲘ ᲯᲘᲣᲓᲝᲘᲡᲢᲔᲑᲘ Მ�წᲕᲠᲗᲜᲔᲚ ᲡᲝᲡᲝ ᲭᲘᲙᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ

ᲛᲣᲓᲐᲜᲚᲝ

ᲛᲣᲓᲐᲜᲚᲝᲡ ᲯᲘᲣ-ᲓᲝᲡ ᲡᲔᲥᲪᲘᲘᲡ (***Მ�წᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲫᲣᲠᲮᲣᲚᲘ***) ᲯᲘᲣᲓᲝᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲛᲣᲓᲐᲜᲚᲝᲡ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ Ს�პᲝᲠᲢᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ ᲕᲐᲠᲯᲘᲨᲝᲑᲔᲜ. ᲛᲐᲗ ᲯᲘᲣ-ᲓᲝᲨᲘ ᲕᲐᲠᲯᲘᲨᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲨᲘ ᲓᲐᲘ�წᲧᲔᲡ, ᲠᲝᲪᲐ ᲐᲥ ᲛᲐᲟᲝᲠᲘᲢᲐᲠᲘ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲫᲐᲚᲘᲡᲮᲛᲔᲕᲘᲗ ᲡᲔᲥᲪᲘᲐ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ. ᲡᲔᲥᲪᲘᲐᲨᲘ 20 ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲐ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ. ᲛᲐᲗ�გᲐᲜ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲜᲐ ᲣᲛᲔᲢᲔᲡᲝᲑᲐᲛ ᲘᲪᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲓ ᲛᲘᲧᲕᲔᲑᲘᲐᲜ, ᲠᲝ�გᲝᲠ ᲕᲐᲠᲯᲘᲨᲝᲑᲔᲜ, ᲠᲝ�გᲝᲠ ᲘᲦᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲡᲐ�გᲐᲠᲔᲯᲝᲨᲘ ᲠᲐᲝᲜᲣᲚ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ. – ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲗᲕᲔᲐ, ᲠᲐᲪ ᲕᲐᲠᲯᲘᲨᲝᲑᲔᲜ, ᲑᲔᲕᲠᲘ ᲘᲚᲔᲗᲘ ᲐᲠ ᲘᲪᲘᲐᲜ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ – ᲐᲥ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲨᲘ ᲩᲐᲔᲠᲗᲝᲗ Ს�პᲝᲠᲢ�გᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ გია მაისურაძე და გვითხრა: მუდანლოელებმა საოცარი ილეთები და გამარჯვების დიდი მუხტი აჩვენეს. თანაც ისინი ჯერ მხოლოდ V-VI კლასელები არიან, ცოტა არ არის ორი მეორე და 2 მესამე ადგილის მოპოვება 130 მონაწილეს შორის. ამიტომ, მათ წასახალისებლად საგარეჯოდან ძიუ-დოს ფორმა ჩამოვუტანეთ საჩუქრად და სხვების წასახალისებლადაც – ვინც გამარჯვებებს მოიპოვებს, მათ საჩუქრებიც შეხვდებათ.

მუდანლოელ ძიუ-დოისტებთან ერთად სპორტდარბაზის ერთ-ერთ ოთახში აქაური კიკბოქსინგის წრის სპორტსმენებიც ვარჯიშობენ. მათ საგარეჯოს სპორტგაერთიანების მთავარმა სპეციალისტმა ტარიელ როსტომაშვილმა კიკბოქსინგის სპორტული ტანსაცმელი გადასცა საჩუქრად.

უბრალოდ, უნდა გეეურებინათ, რა სიხარულით მიიღეს საჩუქრები მუდანლოელმა სპორტსმენებმა და დანარჩენებსაც ეტყობოდათ სურვილი მომავალი გამარჯვებებისთვის. ელსევაშ კულიევი, ელვირ კახრამანოვი, ათაქშირ კულიევი და ვუგარ გურბანოვი კი გახარებულები იზომავდნენ საჩუქრად მიღებულ კიმანოებს.

ᲑᲝᲒᲓᲐᲜᲝᲕᲙᲐ

ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲑᲝᲒᲓᲐᲜᲝᲕᲙᲔᲚᲘ ᲯᲘᲣᲓᲝᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲕᲐᲠᲯᲘᲨᲝᲑᲔᲜ, ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲝᲠ�გᲐᲜᲝᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲨᲔᲜᲝᲑᲘᲡ I ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲖᲔᲐ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲡᲔᲑᲣᲚᲘ. ᲗᲐᲕᲐᲓ 1948 ᲬᲚᲘᲡᲐᲐ ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲘᲪᲪᲔᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲝᲑᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲐᲠᲘ ᲜᲘᲛᲣᲨᲘᲐ.

ᲐᲛ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ ᲐᲓᲠᲔ, ᲗᲐᲕᲓᲐᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲙᲚᲣᲑᲘ ᲘᲧᲝ. ᲐᲥ ᲢᲐᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲡᲞᲔᲥᲢᲐᲙᲚᲔᲑᲘ, ᲣᲨᲕᲔᲑᲓᲜᲔᲚ ᲤᲘᲚᲛᲔᲑᲡ. ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲡ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲙᲠᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲡᲐᲢᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓᲐᲪ ᲘᲧᲔᲜᲔᲑᲓᲜᲔᲚ ᲨᲔᲛᲓᲕᲔ ᲙᲘ ᲜᲔᲚᲜᲔᲚᲐ ᲒᲐᲘᲢᲐᲜᲔᲡ ᲛᲝᲛᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲙᲐᲛᲔᲑᲘ. ᲔᲠᲗᲮᲐᲜ ᲓᲐᲙᲔᲢᲘᲚᲘ ᲘᲧᲝ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲙᲘ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ �გᲐᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲘᲫᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲑᲐᲦᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲖᲠᲓᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗᲘ ᲗᲐᲕᲨᲔᲡᲐᲤᲐᲠᲘ ᲛᲘᲔᲪᲐ. ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘ ᲒᲐᲓᲐᲢᲘᲮᲠᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ, ᲔᲠᲗ ᲜᲐᲬᲘᲚᲨᲘ ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲑᲐᲦᲘ ᲘᲧᲝ, ᲛᲔᲝᲠᲔᲨᲘ – 2010 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲐ, ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲝᲡ�წᲐᲕᲚᲔᲚᲔᲑᲘ ᲯᲘᲣᲓᲝᲨᲘ ᲕᲐᲠᲯᲘᲨᲝᲑᲓᲜᲔᲜ. ***Მ�წᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ ᲡᲝᲡᲝ ᲭᲘᲙᲐᲫᲔ*** 2 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲣᲮᲔᲚᲤᲐᲡᲝᲓ ᲔᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲝᲓᲐ ᲐᲥᲐᲣᲠ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚ ᲯᲘᲣᲓᲝᲘᲡᲢᲔᲑᲡ. ᲛᲝᲜᲓᲝᲛᲔᲑᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲰᲔᲛᲜᲓᲐ ᲡᲝᲡᲝᲡ. ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲐ (ᲙᲣᲡᲢᲐᲠᲣᲚᲐᲓ) ᲡᲐᲕᲐᲠᲯᲘᲨᲝ ᲘᲜᲕᲔᲜᲢᲐᲠᲘ, ᲑᲐᲒᲘᲠᲘᲪ ᲩᲐᲛᲝᲣᲨᲕᲐ ᲭᲔᲠᲘᲓᲐᲜ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲙᲘ, ᲒᲐᲡᲣᲚ ᲬᲚᲔᲚᲡ ᲡᲐᲕᲐᲠᲯᲘᲨᲝ ᲚᲔᲘᲑᲔᲑᲘᲪ ᲨᲔᲐᲨᲕᲔᲚᲔᲡ, ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲘᲪ ᲓᲐᲔᲜᲘᲨᲜᲐ, ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲘ ᲛᲝᲡ�წᲐᲕᲚᲔᲡᲪ ᲛᲝᲕᲘᲓᲐ. ᲓᲦᲔᲡ ᲐᲥ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲛᲔᲪᲐᲓᲘᲜᲔᲝᲑᲐᲖᲔ 20-ᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲯᲘᲣ-ᲓᲝᲡ ᲡᲔᲥᲪᲘᲐᲨᲘ (Მ�წᲕᲠᲗᲜᲔᲚᲔᲑᲘ **ᲑᲝᲩᲐ ᲛᲔᲙᲝᲙᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲑᲐᲓᲠᲘ ᲑᲐᲡᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ**) 30 ᲛᲝᲡ�წᲐᲕᲚᲔᲐ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ. ᲛᲝᲜᲓᲝᲛᲔᲑᲘᲗ, Ს�პᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲐᲖᲐᲠᲢᲘᲗ ᲕᲐᲠᲯᲘᲨᲝᲑᲔᲜ ᲐᲥ ᲑᲘᲭᲔᲑᲘ – ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲘᲪᲘᲐᲜ „ᲕᲘᲡᲘ ᲒᲝᲠᲘᲡᲐᲜᲘ“ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲨᲔᲠᲪᲮᲕᲔᲜᲐ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐᲗ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ ᲘᲧᲝ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝᲡ ᲠᲐᲝᲜᲣᲚ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲛᲐᲗ ᲝᲠ-ᲝᲠᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ, ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲐ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲙᲐᲕᲔᲡ. ᲐᲘ, ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲪ: ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ – ᲓᲐᲗᲝ ᲙᲕᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲖᲣᲠᲐᲑ ᲙᲕᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲛᲔᲝᲠᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ – ᲝᲛᲐᲠ ᲘᲝᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲛᲐᲖ ᲛᲔᲙᲝᲙᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ – ᲡᲔᲠ�გᲝ ᲙᲕᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲑᲔᲭᲐ ᲗᲐᲗᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲓᲦᲔᲡ ᲑᲘᲭᲔᲑᲘ ᲐᲮᲐᲚ-ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲐᲜ. ᲡᲐᲐᲛᲘᲡᲝᲓ ᲛᲐᲗ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲐᲥᲕᲗ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲐᲥᲐᲣᲠᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲮᲚᲝ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘ ᲭᲜᲘ ᲗᲘᲜᲒᲐᲗᲘᲡ ᲮᲘᲓᲐᲨᲔᲚᲘ ᲑᲔᲕᲠ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲚᲔ ᲒᲔᲒᲛᲐᲕᲔᲗ.

ᲑᲝᲒᲓᲐᲜᲝᲕᲙᲔᲚᲘ ᲯᲘᲣᲓᲝᲘᲡᲢᲔᲑᲘ Მ᲌ᲕᲠᲗᲜᲔᲚ ᲒᲝᲩᲐ ᲛᲔᲙᲝᲙᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲐᲮᲚᲝᲑᲘᲗ ᲕᲐᲠᲯᲘᲨᲝᲑᲔᲜ ᲐᲥ ᲑᲘᲭᲔᲑᲘ – ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲘᲪᲘᲐᲜ „ᲕᲘᲡᲘ ᲒᲝᲠᲘᲡᲐᲜᲘ“ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲨᲔᲠᲪᲮᲕᲔᲜᲐ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐᲗ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ ᲘᲧᲝ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝᲡ ᲠᲐᲝᲜᲣᲚ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲛᲐᲗ ᲝᲠ-ᲝᲠᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ, ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲐ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲙᲐ

ხანძარი

დასასრული

ყველამ ერთად იმარჯვა „კოპალეს“ ტყე დაწვას გადაარჩინეს

გრამ რადგან იქ მსგავსი არაფერი ყოფილა, მანავისკენ ავიღეთ გეზი. ხანძრის კვალი არც მანავის ტყეებში შეგვინიშნავს და ახლა დიდი ჩაილურის რწმუნებულს არჩილ დიდებულიძეს მივაკითხეთ და მხოლოდ მაშინ შევნიშნეთ „კოპალეს“ მიმდებარე მასივზე მოდებული ხანძარი. პოლიციის მიერ გამოყოფილი პიკაპებით ადვილად მივაღწიეთ ხანძრამდე და ზურგის აპარატებით, თოხებითა და ფოცხებით ხანძრის ქრობას შევუდექით. მეხანძრეებს მალე ***მუნიციპალიტეტის გამგებელი* გიორგი ლოლაძე**, ***პოლიციის განყოფილების უფროსი* დათო ჯიაბერაშვილი,** მისი ***ოთხი თანამშრომელი,*** პატარა ჩაილურის რწმუნებული **სულიკო გრძელიშვილი** და ამ სოფლის ახალგაზრდები შემოგვიერთდნენ და გაერთიანებული ძალებით შევძელით ხანძრის ლიკვიდაცია, თუმცა ხანძარმა მაინც მოასწრო ორ ჰექტრამდე ფართობის დაზიანება. დამერწმუნებით, რომ ეს ზარალი მეტი და შეიძლება გამოუსწორებელი ყოფილიყო, რომ არა ჩვენი მეხანძრის გაიოზ ბეციაშვილის გამოჩენილი სიფხიზლე და პოლიციის განყოფილების უფროსის დახმარება. ეს ხანძარი მაღალ გორაკზე, სახანძრო მანქანებისათვის მიუვალ ადგილზე იყო და პიკაპების დაუხმარებლად იქ მიღწევას და სახანძრო ინვენტარის ატანას ჩვენი ძალებით ვერანაირად ვერ შევძლებდით. ამიტომ მინდა ვისარგებლო შემთხვევით და თქვენი გაზეთის საშუალებით დიდი მადლობა გადავუხადო **გაიოზ ბეციაშვილსა** და ბატონ **დავით ჯიაბერაშვილს** ამ დიდი დახმარებისათვის. დიდ მადლობას ვუხდი ჩვენი მუნიციპალიტეტის გამგებელს ბ-ნ **გიორგი ლოლაძეს,** რომელიც პირადი მაგალითით სტიმულს აძლევდა მეხანძრეებს მუშაობაში. მადლობას ვუხდი ცეცხლის ქრობაში მონაწილე სამსახურის პირად შემადგენლობას, ორივე ჩაილურის წარმომადგენლებს, ყველა იმ 15 პატარაჩაილურელს, ვინც ვერ მოასწრო ხანძრის ქრობაში მონაწილეობის მიღება, მაგრამ მაინც მოდიოდნენ ჩვენს დასახმარებლად.

იმ ღამეს ხანძარი თოხლიაურშიც იმ დროს გაჩნდა, როცა ჩაილურში ვაქრობდით ცეცხლს, ხანძარი მოედო რკინიგზისპირა ჩალიანს, რაც საფრთხეს უქმნიდა მოსახლეობის მიმდებარე ვენახებს. ამ ხანძარზე ჩვენი სამსახურის ერთი სახანძრო ეკიპაჟი გავიდა და შეძლეს მისი ლოკალიზება, თუმცა მარტო ამით არ დასრულებულა ჩვენი იმღამინდელი მუშაობა, – 11 საათზე ახლა კაკაბეთის ბოლოზე, ვენახებში გადავარდნილი ავტომანქანის ამოღება მოგვიწია, რომლის ახალგაზრდა მძღოლი მძიმე დაჟეჟილობით გადაიყვანეს თბილისის საავადმყოფოში.

ხანძრის შემთხვევას ჰქონდა ადგილი თოხლიაურში მოსახლე მარიამ ჭიაბერაშვილის საცხოვრებელ სახლთანაც. ეს ქალბატონი ქარიან ამინდში ასუფთავებდა ეზოს, მოგროვილ ნაგავს ცეცხლი წაუკიდა და თავად რამდენიმე წუთით სახლში შებრუნდა. ქარისათვის კი ეს წუთებიც საკმარისი გახდა თივა-შეშით სავსე სახლის მიმდებარე ფარდულში ხანძრის გასაჩაღებლად. თოხლიაურელებმა ჩვენი სამსახურის ტელეფონის ნომრები იცოდნენ და დროზე მოასწრეს შეტყობინება. რამდენადაც ამის შესაძლებლობას ჩვენი მოძველებული ორი სახანძრო მანქანა იძლეოდა, დაუყოვნებლივ გავეშურეთ თოხლიაურში და ასევე მოკლე დროში შევძელით ხანძრის ჩაქრობა, რითაც დაწვისგან ვიხსენით აღნიშნული სათავსოცა და ზედ მიდგმული ორსართულიანი სახლიც.

გ. დაბახიშვილი

P.S. **ეს წერილი დასაბეჭდად მზად იყო, როცა შევიტყვეთ, რომ საგარეჯოელმა მეხანძრეებმა 21 მარტს – დიდი მუსულმანური დღესასწაულის დღეს დაწვას გადაარჩინეს თულარში მცხოვრები ავილ აბდულაევის ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი. ასევე დახმარება გაუწიეს ვაზიანის სამხედრო ნაწილის თანამშრომლებს ცეცხლმოკიდებული პოლიგონის ჩაქრობაში. ეს ფაქტი კი, კიდევ ერთხელ შეგვახსენებს იმ ჭეშმარიტებას, რომ ასანთის ხელში აღებისას სერიოზული დაფიქრება გვმართებს ჩვენს მიერ დანთებული ცეცხლის შესაძლო შედეგებზე.**

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საჭადრაკო სიახლეები

ნორჩმა მოჭადრაკეებმა გვასახელეს!

„ჭადრაკი – 2014“

თენგიზ კობიაშვილი

ნორჩი მოჭადრაკეებისათვის საოცნებოა – საქართველოს პირველობის უმაღლეს ლიგაში თამაში, რაც წარმატების შემთხვევაში იძლევა უფლებას მონაწილეობა მიიღოს მოჭადრაკე გოგონამ და ბიჭმა – ევროპის და მსოფლიო პირველობებში. სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ერთბაშად შვიდი საგარეჯოელი ნორჩი მოჭადრაკე უმაღლესი ლიგის ფინალისტია! აი, რა გვითხრა **ირაკლი ქვლივიძემ** – საგარეჯოს საჭადრაკო ფედერაციის ვიცე-თავმჯდომარემ, ოსტატობის კანდიდატმა ჭადრაკში: – უკვე ჩვეულებრივი მოვლენა გახდა ის ფაქტი, რომ საგარეჯოელი ნორჩი მოჭადრაკეები ტოლს არ უდებენ თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ფოთის, თელავის, ზუგდიდის, ზესტაფონის, გორის აღიარებული საჭადრაკო სკოლების მოჭადრაკეებს. გასულ წელს საქართველოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს: ნანი უნაფქოშვილმა (18 და 20 წლის ასაკის გოგონებში), ლევან დალბაშვილმა (8 წლის ასაკის ბიჭებში), ვიცე ჩემპიონი გახდა ნიკა კევლიშვილი (8 წლის ასაკის ბიჭებში), რომლებმაც წარმატებით იასპარეზეს მონტენეგროში გამართულ ევროპის პირველობაზე. გვყავანან ნიჭიერი, პერსპექტიული ნორჩი მოჭადრაკეები – კახეთის ჩემპიონები, საქართველოს პირველობების პრიზიორები, სხვადასხვა გამოჩენილი ქართველი მოჭადრაკეების სახელობის, მემორიალების გამარჯვებულები, პრიზიორები: ლალი გარსიაშვილი, ეთუნა ხებრელაშვილი, ლუკა გურჯიძე, ეკა ჭყონია, ზუკა გამრეკელაშვილი, ლუკა ივანელაშვილი, ნინო ესაიაშვილი, გიგი ივანელაშვილი, თამარ არჩუაძე, თინათინ დალბაშვილი, ლუკა ტიგინაშვილი, რომლებიც უახლოეს ხანში წარმატებას მოგვიტანენ. წარმატებით დაიწყეს 2014 წელი ჩვენმა ნორჩმა მოჭადრაკეებმა. ერთბაშად შვიდმა ნორჩმა მოჭადრაკემ მოიპოვა საქართველოს პირველობის უმაღლესი ლიგის საგზური, რაც უდაოდ დიდი წარმატებაა – ესენი არიან: ეთუნა ხებრელაშვილი (10 წლის გოგონებში), ლალი გარსიაშვილი (12 წლის გოგონებში), ნინო ესაიაშვილი (8 წლის გოგონებში), ზუკა გამრეკელაშვილი (8 წლის ბიჭებში). აქვე აღვნიშნავთ, რომ ნინიმ და ზუკამ, რომლებიც 7 წლისანი არიან

„ჭადრაკი – 2014“

აჯობეს მათზე 1 წლით უფროსებს, რაც ამ ასაკში მნიშვნელოვანია. აღსანიშნავია, ნიკა კევლიშვილი, ლუკა გურჯიძე, ლევან დალბაშვილი (10 წლის ასაკის ბიჭები), რომელთაც საქართველოს პირველობის უმაღლესი ლიგის საგზურები მოიპოვეს სიღნაღში, ქ. გურჯაანში და თბილისში გამართულ რეგიონალურ და საქართველოს პირველ ლიგაში გამარჯვებებით.

დასასრულ, წარმატებები ვუსურვოთ ჩვენს მოჭადრაკეებს მომავალ საჭადრაკო ბატალიებში. დავძენ, უკეთესი პირობების შემთხვევაში წარმატებები უფრო შთამბეჭდავი იქნება.

ინფრასტრუქტურა

საგარეჯო, ერეკლე II-ის ქუჩა

კეთდება

სანიაღვრე არხი



ტროტუარი

გასაკეთებელია

ყოფილი პროკურატურის შენობის ადგილი

გლეხური ბაზარი

ჯიუდოს ისტორია

ჯიუდოს წარმოქმნა და მისი პირველადი განვითარება

იაპონიაში მრავალი საუკუნის მანძილზე არსებული ფეოდალური დამოკიდებულებანი XIX საუკუნის შუა წლებისთვის თანდათან დაკნინებას მიეცა. იმპერატორის სპეციალური დადგენილებით, 1871 წელს სამურაებს აეკრძალათ ხმლის ტარება, რამაც საკმაოდ მოკლე ხანში მეომრებისა და პოლიციელების საბრძოლო ფიზიკური მომზადების სისტემაზე იმოქმედა. ჯიუ-ჯიტსუს სხვადასხვა სკოლებში სწავლების აქცენტად უიარაღო თავდაცვის ხერხების დაუფლება იქცა. რეფორმების შედეგად გამოცხადდა სამურაების, გლეხების, ხელოსნებისა და ვაჭრების თავისუფლება და სამურაების მიერ დაარსებული სკოლებიც ნელ-ნელა დავიწყებას მიეცა.

ქვეყნის განვითარებასთან ერთად არა მარტო სამურაების, არამედ უბრალო იაპონელების ცხოვრების პირობებიც შეიცვალა, რაც ობიექტური წინაპირობა აღმოჩნდა ახალი, უფრო დემოკრატიული ფიზიკური აღზრდის სისტემის შექმნისათვის.

ამგვარი სისტემის შექმნა ახალგაზრდა იაპონელმა პედაგოგმა, ლიცეუმის ინსპექტორმა ძიგორო კანომ სცადა. პირველ რიგში მან მიზნად დაისახა ის, რომ მისი სისტემა ხელმისაწვდომი ყოფილიყო არა მარტო სამურაებისთვის, არამედ ნებისმიერი ადამიანისათვის. მეორე ეტაპზე კანომ იაპონური ეროვნული ჭიდაობა „სუმოს“ მდიდარი გამოცდილების გამოყენება გადაწყვიტა, რომელიც საკმაოდ პოპულარული იყო ხალხში. ოდითგან იაპონიაში ძალის უკმარისობა აღიქმებოდა, როგორც ანომალია, ფიზიკური სისუსტე კი ხანგრძლივ ავადმყოფობად ითვლებოდა. ***სუმო ძალისა და სიმარჯვის განვითარების ხელმისაწვდომი და ეფექტური საშუალება იყო.***

გარდა სუმოს ელემენტებისა, ახალ სისტემას საფუძვლად დაედო ჯიუ-ჯიტსუს უსაფრთხო და ეფექტური ილეთები. ამგვარი სელექციის გატარებისთვის ახალგაზრდა ძიგორო კანოს სხვადასხვა სკოლებში თავად მოუხდა სხვადასხვა სკოლებში სწავლების მკაცრი სისტემის გავლა. უნდა აღინიშნოს, რომ იმ დროს ჯიუ-ჯიტსუს სისტემას ოცამდე სხვადასხვა სკოლა „რიუ“ გააჩნდა. ძიგორო კანოს აზრით ყველაზე ეფექტურ სკოლებს „კატო-რიუ“ და „ტუნსინ-სინიორიუ“ წარმოადგენდა, რომელთა ტექნიკური არსენალიც საფუძვლად ახალ სისტემას დაედო. ძიგორო კანო მოგვიანებით თავის წიგნში წერდა: „ჯიუ-ჯიტსუს“ ახალი სისტემის შესწავლისას დავრწმუნდით, რომ ეს არის სხეულისა და გონების განვითარების ყველაზე ეფექტური საშუალება, ამიტომ გადავწყვიტე, რომ ეს მეთოდი ყველაზე ფართო წრეებში გავავრცელო“. 1882 წელს ძიგორო კანომ ტოკიოში დააარსა საკუთარი სკოლა, სადაც აღზრდის ახალი სისტემის სწავლება და პროპაგანდა დაიწყო, რომელსაც „ძიუდო“ უწოდა.

ძიუდოს პროპაგანდის მიზნით ძიგორო კანომ 1889 წელს გადაწყვიტა ჩაეტარებინა ტურნე ევროპაში. ამ დროისათვის ძიუდო უკვე მთელს იაპონიაში გავრცელდა, თუმცა ცალკეულ სკოლებში მაინც განაგრძობდნენ მეტოქეობას და ხელს უშლიდნენ მის გავრცელებას.

ძიუდოს მეთოდური და ფილოსოფიური საფუძვლების შემუშავებისადმი მეცნიერულმა მიდგომამ და პროფ. ძიგორო კანოს და მისი მოსწავლეების დაუღალავმა პროპაგანდისტურმა საქმიანობამ თავისი გაიტანა. 1922 წლისთვის ძიუდო სპორტის ეროვნული სახეობა, 1931 წლიდან კი იაპონიის ყველა საშუალო სკოლაში აუცილებელ საგნად იქცა .

1903 წლიდან 1922 წლამდე არსებული პერიოდი შეიძლება დავახასიათოთ არა მარტო ძიუდოს ჩამოყალიბების, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა სასწავლო-სამეცნიერო ცენტრებში ძიუდოს ექსპორტის ხანად. ძიუდომ მთელს მსოფლიოში დაიწყო გავრცელება. ძიუდოს პოპულარიზაციას ხელს უწყობდა არა მარტო მისი სპორტული მხარე, არამედ მეტწილად ფიზიკური და სულიერი აღზრდის წარმოდგენილი სისტემის პროგრესულობა.

ძიგორო კანო შემთხვევით არ უწოდებდა თავის სისტემას „ჯიუ-ჯიტსუს“ (რბილი ხელოვნება) ნაცვლად „ჯიუ-დო“ (რბილი, მოქნილი გზა). ამით მან, პირველ რიგში ხაზი გაუსვა ფიზიკური და სულიერი საწყისების უწყვეტ ერთიანობას, მეორე მხრივ კი, არსებული პრობლემის გადაწყვეტისადმი სხვადასხვანაირი მიდგომის შესაძლებლობას. ძიგორო კანოს დამსახურებაა ისიც, რომ მან შეინარჩუნა რა ძიუდოს, როგორც აღმზრდელობითი სისტემის მთლიანობა, მასში გამოჰყო შემდეგი სამი შემადგენელი და ურთიერთდაკავშირებული ნაწილი: ტექნიკური ხელოვნება, სპორტი და თავდაცვის ხელოვნება.

1932 წელს ძიგორო კანო იაპონიის ფიზიკური კულტურის მინისტრად დაინიშნა. ამ დროისათვის იგი იწყებს აქტიურ მუშაობას ოლიმპიური თამაშების პროგრამაში ძიუდოს ჩართვისათვის, მაგრამ იგი სიცოცხლეში ვერ მოესწრო ამ ოცნების განხორციელებას. პროფ. ძიგორო კანო 78 წლის ასაკში, 1938 წელს გარდაიცვალა.

1938 წელს იაპონიის ხელისუფლების სათავეში პროფაშისტური მთავრობა მოვიდა და ქვეყანამ კურსი ომის სამზადისზე აიღო და ძიუდოს სისტემის პროგრესული საწყისები დავიწყებას მიეცა. სახეობამ უადრესად გასამხედროებული ელფერი შეიძინა და ხელს უწყობდა სისასტიკისა და სამურაელთა საბრძოლო მზადების განვითარებას. ამგვარი მდგომარეობა ბატონობდა იაპონურ ძიუდოში მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამდე.

ეს პერიოდი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, განსაკუთრებით კი ყოფილ საბჭოთა კავშირში ძიუდოსადმი ნეგატიური დამოკიდებულებით ხასიათდებოდა. 1945 წლიდან იაპონიაში იცვლება სოციალურ-პოლიტიკური ვითარება. კაპიტულირებული სახელმწიფო, შეერთებული შტატების კონტროლის ქვეშ მოექცა. ამერიკელებმა იცოდნენ ომამდელი ძიუდოს გასამხედროებული ხასიათის შესახებ და სწორედ ამიტომ აკრძალეს მისი სწავლება იაპონიის სკოლებში. აკრძალვა მოიხსნა 1948 წელს, როდესაც სახელმწიფომ უარი თქვა რევანშზე. ამ დროს ძიგორო კანოს ვაჟი რისეი კანო სათავეში ჩაუდგა იაპონურ ძიუდოს და აქტიურად შეუდგა მამის პედაგოგიური სისტემისა და ძიუდოს პროგრესული საწყისების აღდგენას.

გურამ რატიშვილი

ექიმის საუბარი

მედიცინა

ტუბერკულოზი გლობალური ეპიდემიაა

1882 წლის 24 მარტს გერმანელი მეცნიერი რობერტ კოხის მიერ გაკეთებული უდიდესი აღმოჩენიდან 100 წლისთავზე პირველად და მას შემდეგ ყოველწლიურად 24 მარტს აღინიშნება ტუბერკულოზის მსოფლიო დღე. ამ დღის აღნიშვნა მიზნად ისახავს ტუბერკულოზის გლობალური ეპიდემიის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას.

პარტნიორობა „შევაჩეროთ ტუბერკულოზი“, რომელიც არის ტუბერკულოზთან ბრძოლის ორგანიზაციებისა და ქვეყნების ქსელი, ამ დღეს აღნიშნავს იმ მიზნით, რომ ყურადღება გამახვილდეს დაავადების მასშტაბებზე, მისი პრევენციის გზებსა და მკურნალობის საშუალებებზე.

1882 წლის 24 მარტს გერმანელმა მეცნიერმა რობერტ კოხმა ტუბერკულოზის გამომწვევი ბაცილა აღმოაჩინა. ეს იყო ტუბერკულოზის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის კუთხით პირველი წინგადადგმული ნაბიჯი. ტუბერკულოზი გადამდები დაავადებაა. იგი ვრცელდება ფილტვის ფორმით დაავადებული ბაცილგამომყოფი პირის მიერ საუბრის, ხველის და ცემინების დროს.

ტუბერკულოზის გამომწვევი ჩხირის სასუნთქ გზებში მოხვედრა დაავადებასა და ინფიცირებას ყოველთვის არ იწვევს. თუ გამომწვევი ჩხირი ფილტვის ქსოვილამდე მაინც მიაღწევს, მას უხშირესად ორგანიზმის დაცვითი ძალები აუვნებლებენ ან ბოჭავენ. ამ დროს ადამიანი ინფიცირებულია, მაგრამ არა დაავადებული. ტუბერკულოზის განვითარებაში გამოყოფენ ორ განსხვავებულ მდგომარეობას: ინფიცირებას და დაავადებას. ინფიცირებული ადამიანების დიდი უმრავლესობა – დაახლოებით 90% მთელი სიცოცხლის განმავლობაში რჩება ინფიცირებულად კლინიკურად გამოხატული ნიშნების გარეშე. ტუბერკულოზური დაავადება ინფიცირებულთა დაახლოებით 10%-ს უვითარდება. მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც განაპირობებს დაავადების ჩამოყალიბებას, ადამიანის ორგანიზმის იმუნური სისტემის მდგომარეობაზეა დამოკიდებული. იმუნური სისტემა ადეკვატურად უნდა რეაგირებდეს ორგანიზმში მიკრობაქტერიის არსებობაზე. ტუბერკულოზური დაავადება ვითარდება იმუნური სისტემის აარაადეკვატური პასუხის პირობებში.

იმუნური სისტემის არაადეკვატური პასუხი შეიძლება დაკავშირებული იყოს მთელ რიგ ფაქტორებთან, კერძოდ:

სოციალური ფაქტორები: არასაკმარისი კვება, ნერვული სტრესი, ცუდი საყოფაცხოვრებო პირობები, მძიმე ფიზიკური შრომა, ნარკომანია, ალკოჰოლიზმი, ანუ ყველა ის გარეგანი მიზეზი, რაც ზოგადად ორგანიზმის დაავადებებთან ბრძოლისუნარიანობას აქვეითებს.

სამედიცინო ფაქტორები: ყველა ქრონიკული დაავადება, რომლის დროსაც ორგანიზმს დაქვეითებული აქვს იმუნიტეტი. ესენია: აივ ინფექცია, შაქრიანი დიაბეტი, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის დაავადება, რევმატული დაავადებები. ტუბერკულოზისაგან ნაკლებად არიან დაცული აგრეთვე ის ადამიანები, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზით ჰორმონულ მკურნალობაზე იმყოფებიან ან ქიმიოთერაპიის, ან სხივური თერაპიის კურსს იტარებენ.

ტუბერკულოზის დადგენის შემთხვევაში დაავადებულს, I რიგის ტუბსაწინააღმდეგო პრეპარატებით უფასო მკურნალობა უტარდება მედპერსონალის უშუალო ზედამხედველობის ქვეშ 6, 8 თვის განმავლობაში. თუ დაავადების გამომწვევი I რიგის პრეპარატებიდან რომელიმე ან რამდენიმე წამლის მიმართ გამძლე აღმოჩნდა, ისმება წამალგამძლე, ანუ რეზისტენტული ტუბერკულოზის დიაგნოზი და დაავადებულს II რიგის პრეპარატებით უფასო მკურნალობა უტარდება 18-24 თვის მანძილზე. განსაკუთრებულ პრობლემას მკურნალობის ბოლომდე მიყვანის თვალსაზრისით რეზისტენტული ფორმები ქმნის, რომლებიც გვხვდება როგორც ახალ შემთხვევებში, ასევე წარსულში ნამკურნალევ შემთხვევებში.

პენიტენციური სისტემა ყველა სახელმწიფოში მოიაზრება, როგორც ტუბერკულოზის რისკის მატარებელი. ციხეებში დაავადების გავრცელების რისკს ზრდის დახურულ სივრცეში თანაცხოვრება, ციხეების გადატვირთვა, რასაც ემატება პატიმრების სტრესული მდგომარეობა, რაც იმუნიტეტის დაქვეითებას უწყობს ხელს.

ბოლო მონაცემებით ტუბერკულოზის გავრცელების მაჩვენებელი საქართველოში 100000 მოსახლეზე შეადგენს 110-ს, ახალი შემთხვევების კი – 84-ს.

ათასწლეულის განვითარების მიზნების თანახმად, ტუბერკულოზის გავრცელებისა და მისგან გამოწვეული სიკვდილიანობის მაჩვენებელი 2015 წლისთვის ორჯერ უნდა შემცირდეს.

ტუბერკულოზის კონტროლის გაძლიერების მიზნით 2013 წლის სახელმწიფო პროგრამაში დაავადებულთა მკურნალობის გარდა, გათვალისწინებულია კონტაქტირებულთა აქტიური ეპიდკვლევა. უდიდესი მნიშვნელობა აქვს ტუბერკულოზის ინფექციის კონტროლის გატარებას ჯანმოს რეკომენდაციების გათვალისწინებით, რაც მოიცავს კონტროლს სამი მიმართულებით: ადმინისტრაციული კონტროლი, გარემოს კონტროლი და პირადი უსაფრთხოების დაცვა.

დაავადების დროულად აღმოჩენისა და მისი გავრცელების შესამცირებლად თითოეულმა ადამიანმა უნდა იცოდეს: 1. თუ გაქვს ზოგადი სისუსტე, ოფლიანობა, უმადობა, მადალი ტემპერატურა, მკვეთრი კლება წონაში და ეს სიმპტომები გრძელდება 2-3 კვირაზე მეტ ხანს, აუცილებლად მიმართე ადგილობრივ სამედიცინო დაწესებულებას. 2. თუ ხარ ტუბერკულოზით ავად, მაშინ დროულად და სრულად ჩაიტარე მკურნალობა, რათა გაიუჯობესო ჯანმრთელობა და ამავე დროს სხვის ჯანმრთელობას არ შეუქმნა საფრთხე. 3. თუ ხარ ტუბერკულოზით ავად, იმისათვის, რომ გარშემოყოფი ადამიანები არ დაასნებოვნო, დაიცავი ხველის ეტიკეტი და სუნთქვის ჰიგიენა. 4. ხშირად გაანიავე დახურული სივრცე. 5. ებრძოლე ტუბეკულოზთან დაკავშირებულ სტიგმასა და დისკრიმინაციას; 6. გახსოვდეს, ტუბერკულოზი სწორი მკურნალობის შემთხვევაში ინკურნება!

ლია კვერაშვილი,
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ექიმი.

ხალხური მედიცინა გვირჩევს

მხედველობა

ღილით თვალების შეშუპება ზოგს გაზაფხულის ალერგიის ან ზედმეტად მიღებული სითხის ბრალი ჰგონია. ხშირ შემთხვევაში ეს ვიტამინის ნაკლებობის გამოა, რომელიც ასევე, იწვევს თვალის გადაღლას და სიბნელეში ხედვის დაქვეითებას. ამიტომ ხშირად მიიღეთ პროდუქტი, რომელშიც A ვიტამინი შედის: ნარინჯისფერი ხილი, ბოსტნეული, კვერცხი, რძის პროდუქტები, ღვიძლი, თევზი.

თვალის სიმშრალის თავიდან ასაცილებლად კარგია B ჯგუფის ვიტამინის მიღება, რომელსაც შეიცავს: სოკო, პარკოსნები, მარცვლეული, ბანანი, სტაფილო, მოცვი.

თვალის კუნთის მოძრაობისათვის აუცილებელია C ვიტამინით მდიდარი ციტრუსების მიღება, ასევე, ასკილის, მოცხარის, ოხრახუშის, კარტოფილის.

კარატაქტისა და თვალის კუნთების დაბერების პროცესს ანელებს E ვიტამინი, რომელსაც შეიცავს: მზესუმზირა, პარკოსნები, ხორბალი, ზღვის პროდუქტები.

საგულისხმოა, რომ კვერცხში არის ლუტეინი, რომელიც აუცილებელია მხედველობისათვის.

რძე და მისი სიკეთე

ბავშვის ყოველდღიურ რაციონში კვების უმნიშვნელოვანეს პროდუქტად რძე შეგვაქვს. რძეს სიამოვნებით იღებს არა მარტო ბავშვი, არამედ თითქმის ყველა ასაკის ადამიანი. ჩვენთვის იგი უბრალოდ საუზმის ან სამხარის თანამდევი, მაღალი კვებითი ღირებულების პროდუქტია, მაგრამ არც კი ვიცით, რძე რამდენი დაავადების მკურნალია. ახლა გაზაფხული ბობოქრობს გარეთ, ხან ცივა, ხან ძლიერი ქარი ქრის, ხან მზის სხივები უცნაურად ათბობს ყველაფერს. ბევრს გრიპი გაურთულდა, ახველებს, ათასნაირ მედიკამენტს იღებს, მაგრამ უშედეგოდ. გთავაზობთ რჩევებს, რომლებიც შეიძლება დაგეხმაროთ:

ხველის დროს – 1 ჭიქა ადუღებულ რძეში ჩავაგდოთ საშუალო ზომის გაფცქვნილი ხახვი, დაბალ ცეცხლზე ვადუღოთ 10 წუთი. ნახარში მიიღება დღეში სამჯერ;

ღამის ხველა – 1 ჭიქა ცხელ რძეში ჩავუშვათ კარგად გათქვეფილი კვერცხის გული და 1 ჩაის კოვზი თაფლი, გავყოთ ორ ნაწილად. ერთი ნაწილი მივცეთ ბავშვს ძილის წინ, დანარჩენი შევინახოთ მაცივარში. შეტევის შემთხვევაში ბავშვს მივცეთ შემობარი.

სურდო – რძესთან ერთად ცხვირში ჩავიწვეთოთ ნივრის ან ხახვის წვენი.

ღვიძლის დაავადებისას – ერთ ჩაის ჭიქა რძე ახლად გამოწურულ სტაფილოს წვენთან ერთად პროპორციით 1:1-ზე დავლიოთ უზმოზე.

კუჭის წყლულის, თორმეტგოჯა ნაწლავის, გასტრიტის, შარდის ბუშტის კენჭოვანი დაავადებების და მომატებული მჟავიანობისას – რძის შეუზღუდავად დალევა შეიძლება.შარდის ბუშტის კენჭოვანი დაავადებების დროს კი აკრძალულია.

ყაბზობისას – 1 ჩაის ჭიქა ახალი რძე მიიღება დღეში 3-4-ჯერ.

ღებინებისას – ყოველ 2-3 საათში უნდა დალიოთ ცოტ-ცოტა ძროხის ახალი რძე.

ბავშვის მოწამვლისას – კვერცხის ცილა გავთქვიფოთ და შევურიოთ 100-120 მილილიტრი რძე, დავამატოთ ნახევარი ჩაის კოვზი შაქარი და ბავშვს დავალევინოთ მთლიანად.

შაკიკის დროს – ქათმის 1 კვერცხი გაქენით, დაასხით მდუღარე 1 ჭიქა რძე და დალიეთ. ეს პროცედურა გაიმეორეთ ყოველ დღე, 1 კვირის მანძილზე.

უძილობისას – ძილის წინ დალიეთ 1 ჩაის ჭიქა თაფლიანი რძე.

ალკოჰოლი რომ არ მოგეკიდოთ – რეკომენდირებულია სასმელზე რძის დაყოლება – ამ დროს ნელდება სისხლში სპირტის შეწოვა.

მილოცვა

დაბადების დღეს ვულოცავთ აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ თანამშრომლებს **მაია (მარინა) ჯაფახიშვილსა და მაკა ოზგელდოვი-არჩუაძეს.** სულ ასეთი ლამაზები, თბილები, ქალურები, ყურადღებიანი და გარშემომყოფთათვის მართლაცდა პატივსაცემი პიროვნებები ყოფილიყავით.

აპრილში დაბადებულები თქვენი ვიზუალითაც და ხასიათითაც აპრილივით ლამაზები, მგრძნობიარენი და სიხარულის მომტანები ხართ.

იცოცხლეთ და იხარეთ!

გაზეთ „გარეჯის მაცნეს“ რედაქცია

საგარეჯოს 4 სოფელში გაზის გაყვანის სამუშაოებზე დაიწყო

საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 8 სოფელში, მთავრობის №1067 განკარგულებით , ბუნებრივი აირის გაყვანის სამუშაოებს აწარმოებს, ოთხ სოფელში: პატარა და დიდ ჩაილურში, ყანდაურასა და ვერხვიანში სამუშაოები უკვე დაწყებულია და მალე დასრულდება. სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული შ.პ.ს. “ ბილდინგ დეველოპმენტი“ აწარმოებს.

დანარჩენ 4 სოფელში: თოხლიაურში, მანავში, ბადიაურსა და ბოგდანოვკაში სამუშაოების დასაწყებად პროექტი დამტკიცდა. თოხლიაურში და მანავში სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული შ.პ.ს. „ალგეთი“, ხოლო სოფლებში მზისგულსა და ბადიაურში შ.პ.ს. „მარგი“ შეასრულებს.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის პრესსამსახური

საგარეჯოში გაზაფხულზე 3500 ნერგი დაირგვება

საქართველოს პრემიერ–მინისტრის ინიციატივის თანახმად, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო გეგმავს აქციას “დარგე შენი მომავალი“

აქციის ფარგლებში გამწვანების სამუშაოები მთელი ქვეყნის მასშტაბით განხორციელდება.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტისთვის 3500 ნერგია გათვალისწინებული. ესენია: აკაცია, იფანი, ფიჭვი, მუხა, ნეკერჩხალი, საპნის ხე.

ნერგები საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე თანაბრად გადანაწილდება და საჯარო სკოლებში, ბაღებში, სკვერებში, სასაფლაოებზე დაირგვება.

გამოსათხოვარი

დათო და ხათუნა ხითარიშვილები

ზამთრის დამთავრებამდე ორი მზის ჩასვლაღა დარჩენილიყო, ეს საშინელი შტორმი და მეხთატეხა რომ ატყდა, გაზაფხულის პირველმა დღის მზემ კი ამოსვლა ძლივს მოასწრო, გრიგალგადავლილ ჩვენს ქუჩებზე რომ ისევ დელგმამ გადაიარა! ვინ იყო თქვენი ბედის მწერალი, სიკვდილმისჯილებს საზარელი გაოგნება ვინ დაგვატეხა?! მარტში სიცოცხლენაჩუქრებს, მარტში დაბადებულებს, მარტმა გიმსუბუქათ გულზე დასაყრელი მიწა. ***შენ, დათო,*** ჩვენი უბნის ლაზათი იყავი, ულამაზეს გარეგნობას მშვიდი ბუნებით ამშვენიერებდი. დამხმარე იყავი ყველა გაჭირვებულის და ყველა შეჭირვებულის. მომსმენი იყავი, მომთმენი იყავი, ფრთხილი და წინდახედული, შენი ასაკისთვის წარმოუდგენელი გონიერებით, მზრუნველობით დაჯილდოებული. რომ არა ბედისწერის მკაცრი კანონი, ქართული, ნადდი ქართული ტრადიციით გაზრდილს რა ხე მოგერეოდა, რა ხეს უნდა შეელახა შენი სიმაღლე. მიწის თითოეული ადლის სუნთქვა გესმოდა, ღვიძლი შვილი იყავი ღირსეული საქართველოსი, შენს შვილობას უამრავი დედა ინატრებდა.

და შენ ხათუნა...

ულამაზესო, ღვთაებრივი გონებით დაჯილდოებულო!!! შენს პროფესიაში უბადლოვ!!! მრავალსიცოცხლე გადამრჩენელო, ძლიერო სულო. ამპარტავნობის ნასახი რომ არ ჰქონდა შენს დიდ ბუნებას. სიცოცხლის ტრფიალო, ლამაზი ქვაც კი რომ არ გრჩებოდა შეუმჩნეველი! შენს ხელებს მუდამ მშველელის სუნი ასდიოდა. შენს თვალებს გაჭირვებულზე ცრემლი არ შორდებოდა, შენს ხმას შეეძლო ჩინოვნიკების უსამართლობით გაყინული გული შეეძრა!!! შეუვალი იყო შენი ნება! სამართლიანი! უთვისტომოთა გამკითხველი! შენ არ ეკუთვნოდი არც ერთ სოციალურ ფენას, მერცხალივით თავისუფალი, მასავით ძლიერი და ულამაზესი იყავი შენი არსით. არასოდეს არ მისდევდი მოდას, რაც სხვებისათვის აღმოჩენა იყო, შენთვის უკვე დავიწყებული სიმართლე გახლდათ!

სად მიდის ეს გზა, რომელსაც თქვენი სულები მიჰყავს? – სამსჯავროზე, სადაც აპრილის თვეში უნდა წარსდგეთ, იმ სასწორზე, სადაც თქვენი ცოდო-მადლი იწონება. ჩვენი უბნის ალალი, უდალატო დიდი ცრემლი გააოგნებს მართლმსაჯულებას!

საგარეჯოელები,
გორგასლისა და გურამიშვილის
ქუჩის მცხოვრებლები

გაფრთხილება

2014 წლის 15 მაისს 12.00 საათზე, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მის: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის №9), გაიმართება **სააქციო საზოგადოება „კავკასავტომაგისტრალი“-ს** კუთვნილი ასფალტის საწარმოს გზშ ანგარიშის განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანს წარმოადგენს ასფალტის წარმოება.

საზოგადოების წარმომადგენელებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

– თბილისი-ლაგოდეხის საავტომობილო გზის 36-ე კილომეტრი, სოფ. ხაშმის გადასახვევი (სს „კავკასავტომაგისტრალი“-ს ოფისში) ტ. 5 99 57 05 84.

– საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში. მის: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის №9.

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

სს „კავკასავტომაგისტრალი“-ს ადმინისტრაცია

ბრიგალი საგარეჯოში

21 მარტს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის უდაბნოსა და გარეჯის ზეგნებზე არსებული მოსახლეობის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს თავს დაატყდა ძლიერი გრიგალი. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს საინფორმციო-საკონსულტაციო სამსახურის ინფორმაციით გრიგალმა დაზიანა „კოვზის ხევზე“, „გველის წყაროში“, „თეთრ ქვაში“, „აკაკიან ხევზე“ და მიმდებარე ტერიტორიებზე არსებული საშემოდგომო თავთავიანების ნათესები. აღნიშნული სამსახურის მონაცემებით მიყენებული ზარალი 20-დან 100%-მდე მერყეობს და საკმაოდ ვრცელ ფართობებზე ვრცელდება.

გ. დაბახიშვილი

ლარისა (ციცინო) კევლიშვილი

აი, უკვე 8 წელია, რაც შენ წახვედი დედა, 2006 წლის 29 მარტმა დაგვაშორა მე და შენ ერთმანეთს. მხოლოდ ერთი სიტყვის თქმა მოასწარი – მიშველეო და ასე ფეხზე მყოფი ჩაიკეცე და... იმ დილას ჩემმა კივილმა გააპო ცა, გაადვიძა მეზობლები. – სიკვდილს არ ვაპირებო, – ეგ იყო შენი პირობა. მივხვდი, რომ შენი უმცროსი ძმის სიკვდილმა გაიყოლა შენი გული. ძალიან მაკლიხარ, დედა, შენ ხომ ძალიან გიყვარდა ბავშვები, მეზობლები, იმაზეც ნერვიულობდი, რა გეშველებაო უჩემოდ და მართლაც ძალიან მიჭირს უშენობა. ბუმბულის წონა ყოფილიყოს შენს გულზე დაყრილი მშობლიური მიწა.

შვილი
ელენე მალასიძე

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქტორი:
თინათინ ილაური

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“ დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842 599 851 143

ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru